სპორტი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 8 ივნისი 2004 №129 (2148) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA Euro 2004 PORTUGAL

LISBOAS-VINDAS

თულფი თუ ყულფი?

ამ გზამდე იყო რთული და ეკლიანი ბილიკები, ამ გზაზე დადგომა მხოლოდ თექვსმეტმა შეძლო, ამ გზის ბოლოს პორტუგალია და ევროფეხბურთის დღესასწაულია. ნაბილიკარ თექვსმეტ რჩეულთაგან გზის ბოლო გუშინ სამმა განვლო — ინგლისი, იტალია და შვეიცარია ერთმანეთის მიყოლებით ესტუმრნენ ლისაბონს, რათა იქიდან მათთვის განკუთვნილ საწვრთნელ ცენტრებში დაბინავდნენ და ბრძოლა-დღესასწაულისთვის მოემზადნონ.

REUTERS ლისაბონიდან

თამაშებამდე დელ პიერო ბანქოს თამაშობს_ ერთისთვის ევროჩემპიონატი იქნება თულფი, სხვებისთვის ყულფი

ბედმა და ორმხრივმა სურვილმა კი მადრიდის „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი, სამეფო გუნდიდან უმადურად დათხოვნილი ვისენტე დელ ბოსკე თურქეთის გზას დააყენა — ულვაშა სენიორი ამიერიდან სტამბოლის „ბეშიქთაშის“ ხოჯა იქნება.

REUTERS სტამბოლიდან

REUTERS ლისაბონიდან

ვერავინ მოგვატყუებს
დილით ფული, საღამოს ჩემპიონატი

ბადრი კვირიკაძის ფოტო

პროფლიგის ახალმა იდეამ (ექვსეულების გაუქმება, ფინანსური გარანტიები და ა.შ.) ახალი ხმაური გამოიწვია ქართულ ფეხბურთში. კლუბების უმეტესობა უკვე ფაციფუცშია, ნაწილს კი ჯერაც ვერ გაურკვევია საკუთარი პოზიცია. ასეთ გაურკვევლობას ალბათ 18 ივნისს მოეღება ბოლო. ამ დღეს პროფლიგის საგანგებო კონფერენცია ჩატარდება და მოგებულ-წაგებულიც იქ გამოჩნდება.

ერთი რამ კი ახლავე შეგვიძლია ვთქვათ: პროფლიგა არჩეული გზიდან გადახვევას არ აპირებს და მშიერ-ტიტველ კლუბებს თითს უქნევს, თქვენი ადგილი უმაღლეს ლიგაში არ არისო.

ერთი სიტყვით, პროფლიგის პრეზიდენტ ДИМИТРИ РАМИШВИЛს მოვუსმინოთ...

— გასული სეზონი თქვენთვის, როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორისთვის, სადებიუტო იყო. გამოდგა ეს სეზონი ისეთი, როგორსაც ელოდით?

— ჩემპიონატი ჩვენი ოთხწლიანი მოდელის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი იყო. უპირველესი მიზანი სპონსორების მოძიება, სატელევიზიო კონტაქტების დამყარება და ამ ყველაფრის ქართულ ფეხბურთთან გადაბმა იყო. ველოდით, შემოსავალი ამავე სეზონში უნდა მიგვეღო და ვთვლი, რომ ჩანაფიქრი გამოგვივიდა. უკვე რამდენიმე წინადადებაც მივიღეთ სხვადასხვა ფირმებისგან, რასაც წარმატებად მივიჩნევ. თან თავიდანვე ვამბობდით, რომ ჩვენი ფინანსები 30 პროცენტით მაინც უნდა გაზრდილიყო და ასეც მოხდა. მოკლედ რომ ვთქვა, უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს.

— თქვენი აზრით, რა იყო ამ სეზონში კარგი და ცუდი?

— ძნელი სათქმელია ერთი მიზეზის გამო: ბოლო, გადამწყვეტმა თამაშმა ყველაფერს ხაზი გადაუსვა. ამიტომაც მიჭირს ახლა დადებითი თუ უარყოფითი მომენტების გამოყოფა. აბა, როგორ ვთქვა, ჩემპიონატი კარგად იყო ორგანიზებულიო, როცა ბოლო მატჩში ასეთი ამბები მოხდა?! ან როგორ ვთქვა, უსაფრთხოება, სტადიონები, ატმოსფერო იდეალური იყოო... სჯობს, კარგი და ცუდი თქვენ, ჟურნალისტებმა გამოარჩიოთ. ჩვენ კი მომავალი სეზონიდან ამ შეცდომების გამოსწორებაზე უნდა ვიფიქროთ.

— გასული ჩემპიონატი ხალხის იყო: ძნელი გასახსენებელია, ბოლოს როდის მოიყარა თავი ქართულ სტადიონებზე ამდენმა მაყურებელმა. რა გზებით აპირებთ ამ ხალხის შენარჩუნებას?

— გეთანხმებით, გულშემატკივარმა საგრძნობლად იმატა და ეს ძალიან მახარებს. ჩვენი მოდელის მთავარი აზრიც ეს იყო — ფეხბურთის პოპულარიზაცია და ნაღდად არ მეგონა, პირველივე წელს თუ ასეთი აჟიოტაჟი ატყდებოდა. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, აქტიურად ვითანამშრომლოთ მასმედიასთან, რაც ფეხბურთისადმი ინტერესის ზრდის საუკეთესო საშუალებაა. ასე გაგრძელდება მომავალშიც. პროფლიგის საქმიანობა ღია, გამჭვირვალე უნდა იყოს. გულშემატკივარს არ უნდა ვეგონოთ შენიღბული, ჩაკეტილი ხალხი, თორემ ნდობას დავკარგავთ. ჩვენი მიზანია, შევქმნათ პროდუქტი ხალხისთვის და მერე ამისგან ფინანსები მივიღოთ. ეს ხომ მთელ მსოფლიოში მთლიანი, გადაბმული ჯაჭვია.

— კლუბებზე გადავიდეთ. ვიცით, რომ პროფლიგამ კლუბების მიმართ მოთხოვნები გაზარდა, რასაც გარკვეული ვნებათაღელვა უკვე მოჰყვა...

— უკან დახევას არ ვაპირებთ. მით უმეტეს ახლა, ახალფორმატიან ჩემპიონატზე რომ გადავდივართ. მოთხოვნები მკაცრი იქნება და ვფიქრობ, ამ საკითხში ვერავინ შემედავება, უპირველესი კატეგორიული მოთხოვნა კი მოედნებს შეეხება. წარმოიდგინეთ, მომავალი სეზონიდან თითოეულ კლუბს 44 მატჩი მხოლოდ ჩემპიონატში მოუწევს, ამას თასიც დაუმატეთ და გამოვა, რომ თუ ნორმალური მოედნები არ იქნება, ყველაფერი აზრს დაკარგავს. ცუდ მოედანზე თამაშიც ცუდი გამოდის, ეს კი, ფაქტობრივად, გულშემატკივრის დაკარგვას ნიშნავს. ამას კი ვერანაირად ვერ შევეგუებით. მოედანი, დრენაჟი, გასახდელ-საშხაპეები... ეს არის უმთავრესი საზრუნავი. და, რა თქმა უნდა, ფინანსები! ამის გარეშე ვერც ერთი კლუბი ვერ ითამაშებს უმაღლეს ლიგაში!

— ლიცენზია?

— ლიცენზიაც ემატება, ოღონდ საამისოდ ჯერ კიდევ დაგვრჩა დრო. გაისად საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ულიცენზიო კლუბი არ უნდა იყოს.

— ბევრი ამბობს, შესაძლოა, ულიცენზიო კლუბებმა ახლავე დაკარგონ უმაღლეს ლიგაში ადგილიო...

— მთავარია, ამის საფუძველს როდის შევამზადებთ. უეფამ ეს საკითხი ჯერ საკუთარ ტურნირებში დააყენა. ჩვენ კი ცოტა დრო კიდევ გვაქვს. მაგალითად, ჩვენც გვყავს რამდენიმე ლიცენზირებული კლუბი, მაგრამ „ლოკომოტივის" გარდა არც ერთს არ აქვს სტანდარტებზე გათვლილი სტადიონი. ყველა ლიცენზირებულმა კლუბმა იჯარა გააფორმა „ლოკომოტივის" სტადიონთან და ევროტურნირებში გასვლის შემთხვევაში, იქ ითამაშებენ. ასე რომ, ამ მხრივ სამუშაო ჯერ კიდევ თავზესაყრელია.

— 18 ივნისის კონფერენციაზეც ვთქვათ. რა საკითხები იქნება სხდომაზე გატანილი?

— ერთი კვირის წინ გვქონდა შეხვედრა კლუბების ხელმძღვანელებთან. ყველამ ერთხმად ვთქვით, რომ ექვსეულებმა თავისი საქმე უკვე გააკეთა და ახლა სხვა ფორმატი უნდა მოვიფიქროთ. უეფას თასზე და ჩემპიონთა ლიგაში გასული ქართული გუნდები სულ იმას გაიძახიან, მოუმზადებლები ვართ, იქ სხვა დონეაო. ამიტომ ევროპას ფეხი შეძლებისდაგვარად უნდა ავუწყოთ. თამაშების რაოდენობის გაზრდაც აუცილებელია და ამაში ყველა დაგვეთანხმა. აი, ამ ფორმატს დავამტკიცებთ 18 ივნისს.

— უმაღლეს ლიგაში თამაშის მოსურნე რამდენიმე კლუბი სხვა მხრივაც ელის ამ კონფერენციას. ისინი თვლიან, რომ შესაძლოა, ამ საკითხის გარდა სხვაც, უფრო მნიშვნელოვანი ამბები მოხდეს. მაგალითად, უმაღლესი ლიგიდან რომელიმე დაწუნებული კლუბის გარიცხვა...

— ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. არა მგონია, ასე მოხდეს.

— აბა, რისი იმედი აქვთ ამ კლუბებს?

— ერთის თქმა გადაჭრით შეიძლია. ჩვენ შევქმენით კომისია, რომელშიც შედიან აგრონომები, პროფლიგის, სალიცენზიო კომიტეტის და ფედერაციის წარმომადგენლები. ამ კომისიამ 18 ივნისამდე უნდა ნახოს თორმეტივე სტადიონი, შეხვდეს თორმეტივე კლუბის ხელმძღვანელებს, გაეცნოს მათ ინფრასტრუქტურას, შეისწავლოს კლუბის ფინანსური საქმიანობა და ამის შესაბამისად გაუწიოს მათ კონსულტაციები. ცოტა ხნის შემდეგ კომისია ერთხელაც გაიმეორებს იგივეს, ნახავს, გაითვალისწინეს თუ არა კლუბებმა რჩევები და ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ველი კომისიის პასუხებს. ამის შემდეგ ვიმოქმედებთ ჩვენ.

— ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ველი პასუხებსო, თქვით და, ხომ არ აგვიანებთ?

— რატომ ვაგვიანებთ?

— დავუშვათ და, რომელიმე კლუბმა ვერ დააკმაყოფილა კომისიის მოთხოვნები.

— ასეთ კლუბს არ მივიღებთ.

— სწორედ ეგ მაინტერესებს. რომელიმე კლუბს თუ არ მიიღებთ, სანაცვლოდ სხვა, უმაღლესი ლიგის გარეთ დარჩენილი ხომ უნდა ჩაანაცვლოთ? ერთი კვირა საამისოდ საკმარისი იქნება?

— ეს არაა პრობლემა. ზუსტად ვიცით, სად რა ხდება ამ ქვეყანაში და არა მგონია, რამე სირთულეებს წავაწყდეთ. თორმეტი კლუბი თუ არ შეიკრიბება, რამდენიც შეიკრიბება, იმდენი ითამაშებს. მთავარია, ყველა წელგამართული იქნება და რაიმეს შიში არ გვექნება. უმაღლეს ლიგაში ზუსტად იმან უნდა ითამაშოს, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს. რაოდენობა მეორეხარისხოვანია.

— ანუ რა გამოდის? რისი იმედი აქვთ „მცხეთას", თბილისის „სპარტაკს" და ზესტაფონის „მეტალურგს", რომლებსაც ყველანაირი შესაძლებლობა და დიდი სურვილი აქვთ, უმაღლეს ლიგაში ითამაშონ?

— ვერ გეტყვით, ალბათ ფიქრობენ, რომ სხვები ვერ შეასრულებენ ჩვენს მოთხოვნებს. 18 ივნისს ამ საკითხზეც ვიმსჯელებთ.

— კლუბებს ფინანსურ გარანტიებსაც სთხოვთ...

— რა თქმა უნდა. 300 ათასი ლარი თუ არ ექნება რომელიმეს ანგარიშზე, ჩვენგან თავისუფალი იქნება.

— მსგავსი საგარანტიო პროექტი ადრეც იყო, მაგრამ...

— მაშინ სხვა დრო იყო. ყალბ ცნობებს აკეთებდნენ, რაც ახლა არ გაუვათ. თუ კლუბი ჩვენს კომისიას დაუმტკიცებს, რომ ნაღდად აქვს ეს ფული, ხელებს ავწევთ. მოტყუებით კი ვერავინ მოგვატყუებს.

— რა ეშველება ბოლნისის „სიონის" ადგილს. ეს კლუბი დაშლის პირასაა და დიდი შანსია, მომავალ სეზონში არ ითამაშოს.

— მე ასეთი ინფორმაცია არ მაქვს.

— ყოველ შემთხვევაში, სპონსორებმა უარი თქვეს „სიონის" შენახვაზე...

— არა მგონია, „სიონი" დაიშალოს. ბოლნისი მნიშვნელოვანი რაიონია ჩვენი ფეხბურთისთვის. გასაგებია, რომ ეს კლუბი მკაცრად დაისაჯა, მაგრამ იმ შეცდომების გამოსწორება ხომ შესაძლებელია?! სამუშაოა ბოლნისელ გულშემატკივრებთანაც და თუ „სიონი" პირობას მოგვცემს, რომ ამ ყველაფერს გააკეთებს, ჩვენ ყველანაირად გვერდით დავუდგებით.

კახა შალამბერიძე

ბადრი კვირიკაძის ფოტო

ნორვეგია
ტიპელიგა. X ტური

ლილესტრიომი 3:0 სტაბეკი

ირლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

დროჰედა 0:3 ბოჰემიანსი

ისლანდია
პრემიერდივიზიონი
V ტური

ფრამი 1:1 ფილკირი

ჰაფნარფიორდური 2:1 ვესტმანაეიარი

აკურეირი 1:1 გრინდავიკი

კეფლავიკი 1:0 ვიკინგური

ხულიგნური ჩემპიონატის ჯენტლმენები

ფეირ პლეისთვის ყველაზე მეტი მეკარეებმა იხტუნეს



ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

ზვიად სტურუა

მე-15 ეროვნული ჩემპიონატის სკანდალური ფინალის მერე, ეგებ უხერხულიცაა ფეირ პლეიზე საუბარი, მაგრამ ფიფა-უეფას წესკანონებს სად წაუხვალ?! ამიტომაც ამ ორგანიზაციების წევრი ნებისმიერი ფედერაცია ვალდებულია, შიდა ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შედეგებთან და ოფიციალურ ტექნიკურ მონაცემებთან ერთად ფეირ პლეის ლაურეატებიც წარადგინოს ფიფა-უეფაში. საამისოდ მთელი სეზონის მანძილზე მუშაობდა სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი და გუშინ ოფიციალური უსტარიც აფრინა უეფაში. ჩვენც ფეირ პლეის შედეგებზე ვთქვათ.

ჩემპიონატის თითოეული თამაშისას მატჩის ინსპექტორი გუნდების შეფასებას აკეთებდა. შეფასება სხვადასხვა კრიტერიუმით ხდებოდა. ყურადღება ექცეოდა მატჩის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს. ყვითელ-წითელი ბარათების რაოდენობას. ფეხბურთელების ერთმანეთთან, მსაჯებთან და გულშემატკივრებთან დამოკიდებულებას. თავად ქომაგთა ქცევასაც. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით შეფასდნენ თითოეული მატჩის მონაწილე გუნდები. ბოლოს კი შედეგები დათვალეს და ქართულ ჩემპიონატში ფეირ პლეის გამარჯვებული ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ გამოვიდა. საბოლოო ჯამში ვიტელებს 10-ქულიანი შეფასებისას 8.84 ქულა დაუგროვდათ. მეორე ადგილზე „დინამო“ გავიდა 8.38 ქულით. სამეულში მოხვდა ქვეექვსეულის ბინადარი „ბათუმი“ — ზღვისპირელებმა 8.22 ქულას მოუყარეს თავი. მოკლედ, „ვიტ ჯორჯია“ ორგზის ჩემპიონია. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ფეირ პლეის ნუსხაში ბოლო ადგილზე ოზურგეთის „მერცხალი“ გავიდა.

გამოვლინდნენ ფეირ პლეის ლაურეატი ფეხბურთელებიც. მათი შეფასებაც ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებით ხდებოდა. მატჩის ინსპექტორი ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით თითოეულ მატჩში საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებდა. სულ თამაშში საუკეთესოებად 101 ფეხბურთელი დასახელდა 32 ტურში. ყველაზე მეტჯერ კი ფეირ პლეის თვალსაზრისით საუკეთესო ტორპედოელი ზვიად სტურუა გახლდათ. ქუთაისელთა მეკარეს 11-ჯერ მისცეს პირველობა და სეზონის ბოლოს ფეირ პლეის გამარჯვებულიც ის გამოვიდა. 10 ხმით მეორე ადგილზე „ლოკომოტიველი“ ზურაბ მამალაძე გავიდა. მესამე ადგილზე 8-8 ხმით ერთბაშად ხუთი ფეხბურთელია: ზურაბ ბათიაშვილი, გია გოგუა, ზურაბ ქვაჩახია, რეზო ნაჭყეპია და აკაკი დევაძე.

ათეულში შევიდნენ სიონელები ბორის გონჩაროვი, იური გაბისკირია და დინამოელი დავით კვირკველია.

შევნიშნოთ, რომ ფეირ პლეის ათეულში ერთბაშად შვიდი მეკარეა, მათ შორისაა აკაკი დევაძეც, რომელიც მხოლოდ მეორე ეტაპზე დაუბრუნდა ეროვნულ ჩემპიონატს და მატჩის საუკეთესო რვაჯერ გახლდათ.

პაატა კვანტალიანი



ბურაგ ფოლადაშვილის ფოტო

გავიხსენოთ ვიტ ჯორჯიასა და სიონის მატჩი-სკანდალი და ვთქვათ: მსაჯზე გადაფარებულ ბოლნისელ როინ ონიანს ფეირ პლეის საგანგებო პრიზიც და უფრო მეტიც ეკუთვნის!



ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

სოსო გრიშიკაშვილი

მეკარე ოთხთამაშგარმთ

უგრიშიკაშვილო ოცნებიდან დავით გვარამაძე-ახლამდე

„ვისაც თვალი დავადგით და ვთქვით, ამ ფეხბურთელის შეძენა გვსურსო, სხვა კლუბებმა წაიყვანეს, ამიტომ ამიერიდან მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენთ და აღარ გავამხელთ სასურველ ფეხბურთელთა სიას“ — გვითხრა გუშინ „თბილისის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა. თავად კლუბი ახალი სეზონისა და უეფას თასისთვის მზადებას 2 ივნისიდან შეუდგა. შეკრება სასტუმრო „აჭარაში“ დაიწყო.

გუგეშაშვილმა დაადასტურა, რომ კლუბი დატოვა ვივი კვარაცხელიამ, მის შემცვლელებად კი ლოკომოტიველი სერგი ორბელაძე და სპარტაკელი თენგიზ ჩიკვილაძე შეუგულებიათ. სპარტაკელი ირაკლი სამხარაძეც თბილისელი გახდა.

გუნდის მთავარ პრობლემად კი გუგეშაშვილს მეკარის საკითხი მიაჩნია: „ახლახან გავიგე, რომ უეფას თასის გათამაშებაში ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს ჩვენს მეკარე სოსო გრიშიკაშვილს. ამან ჩვენ ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვაყენა. უკიდურეს შემთხვევაში საევროტურნირად დავით გვარამაძის მოწვევასაც არ გამოვრიცხავ. მეორე პრობლემა მაღალი დონის ფორვარდის არყოლაა. ამ მხრივაც ვმუშაობთ, თუ ჩვენთვის სასურველი ვარიანტი არ გამოგვივიდა, შესაძლოა, „ლოკომოტივიდან“ გიორგი მიქაძე ავიყვანოთ“.

გუგეშაშვილის თქმით, „ისნის“ სტადიონის რეკონსტრუქცია უეფას თასისთვის ვერ მოესწრება. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „თბილისი“ ევრომატჩებს „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართავს.

დავით ერაძე

ნემსაძემ მენისკი მოიშორა

გიორგი ნემსაძემ გუშინ ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში მენისკის ოპერაცია გაიკეთა.

თბილისის „დინამოს“ კაპიტანს მუხლის ტკივილები კარგა ხანი, ჯერ კიდევ შოტლანდიაში თამაშისას აწუხებდა. პერიოდულად კი მკურნალობდა, მაგრამ ოპერაციას მაინც ვერ გადაურჩა. ნემსაძეს მენისკმა „თბილისთან“ ჩემპიონატის მეორე ეტაპის მატჩისას შეახსენა თავი, ტრავმა გაუმიზეზდა და ჩემპიონატის ბოლოს თამაში ველარ შეძლო.

გიორგი ნემსაძე მსუბუქ, ინდივიდუალურ ვარჯიშს ორ-სამ დღეში შეუდგება, ხოლო გაჰყვება თუ არა კაპიტანი „დინამოს“ გერმანულ შეკრებაზე, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ფეხბურთელი ექიმებისა და „დინამოს“ მწვრთნელის სიტყვას დაელოდება.

კოტა ინასარიძე



ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

მეორე ეტაპის „დინამო“ — „თბილისი“: გიორგი ნემსაძე მოედნიდან გასაყვანი შეიქნა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

ტიშტოზაზაოზა უკრაინაში

შევჩენკოს კაბა ჩააცვეს

უკრაინა

კვლავაც მოუგებელია ოლეგ ბლოხინის ხელში ჩვენი მომავალი მეტოქე უკრაინა. „ლურჯ-ყვითლებს“ კვირას „სენ დენიზე“ საფრანგეთთან სერიოზული გამოცდა ჰქონდათ და ორიოდე წუთი დაკლდათ მის ჩასაბარებლად.

კვირამდე საფრანგეთ — უკრაინას ორჯერ ეთამაშათ და ორჯერვე ფრე იყო, 0:0. ახლაც ასე იქნებოდა, ანრის პასისას ზიდანს საგოლედ რომ არ გაეწკაპუნებინა ბურთისთვის.

ჩვენმა მომავალმა მეტოქემ ნაცადი 5-4-1 ტაქტიკური სქემით ითამაშა. რუსოლი უკანა მცველი გახლდათ, ეზერსკი და ფიოდოროვი შუაში, სტაროსტიაკი და ნესმაჩნი კი ფლანგებზე თამაშობდნენ და, სავარაუდოდ, დაცვის ამ მოდელს შესარჩევ ეტაპზეც არ შეცვლის უკრაინა, თუკი, რა თქმა უნდა, ოლეგ ბლოხინი შერჩა ნაკრებს.

უკრაინა კი დამარცხდა, მაგრამ, წინა მატჩებისგან განსხვავებით, უფრო ხარისხიანად ითამაშა, ეს კი იმის დამსახურებაა, რომ ჩვენს მომავალ მეტოქეს უკვე ხუთი სპარინგ-მატჩი ჰქონდა მოლეული. შევნიშნოთ, რომ ამ მხრივ საქართველოს ნაკრების მარაგი ერთობ მწირია, რაც, ცხადია, შესარჩევ ეტაპზე ჩვენი ნაკრების თამშზე, გინდა-არ გინდა, აისახება.

ფრანგებთან მატჩის მერე უკრაინელები ისე გაფრინდნენ კიევში, ვერც ბლოხინმა და ვერც ფეხბურთელებმა ჟურნალისტებთან სასაუბროდ ვერ მოიცალეს. უკრაინულ პრესას კი თავისიანთა „დაკითხვამდე“ აბობოქრების მიზეზი მაინც აქვს და ეს მიზეზი აქამდე ხელშეუხებელი, ლამის გაღმერთებული ადრეი შევჩენკო გახლავთ.

უკრაინულ ვებგვერდებზე ბლოხინის აუგის გვერდით შევჩენკოს ლანძღვაც გახშირდა. გულშემატკივრებმა მწვრთნელის სალანძღავი სიტყვები მინიმუმამდე შეამცირეს და ახლა თითქმის ერთსულოვანნი არიან. მათი აზრით, ბლოხინი „პიჟონია“, ანდრეი შევჩენკოს კი, უკიჟინებენ, პატრიოტული გრძნობა დაკარგეო. უკრაინელი ჟურნალისტების აზრით, შევჩენკოს ოჯახური პრობლემები ნაკრებში თამაშში ხელს არ უშლიდა.

უკრაინელების აზრით, ნაკრებში გამოძახებულ ნებისმიერ ფეხბურთელს შეეძლო რაღაც-რაღაც მიზეზით თამაშზე უარის თქმა. შევჩენკოს საქციელი კი იმითაა განპირობებული, რომ ფულში ჩაფლულ მილანელ ვარსკვლავს სამშობლოს სიყვარული გაუნელდა და ნაკრები მისთვის მეორეხარისხოვნად იქცა.

შენ ერთს ფიქრობ და მეორეს აკეთებ. რა, ქალი ხარ?! — ასეთი რეაქცია ჰქონდა შევჩენკოს სანაკრებო უარით აღშფოთებულ ერთ-ერთ ქომაგს.

პაატა კვანტალიანი

საშუალო ევროპული ოცნება რეხვიაშვილს ყველგან მიჰროსკოპით უყურებენ



ბაბრე ჯალილაშვილის ფოტო

იყო დრო, ბრძოლასა და ჯიგრიან თამაშს დანატრებული საქართველოს ნაკრების ქომაგი იმ ხანად რიგის „სკონტოს“ კაპიტანს ალექსანდრე რეხვიაშვილს ეროვნული გუნდისთვის შეუცვლელ ფეხბურთელად თვლიდა. მისი მონდომება, ვაჟკაცური თამაში პარტნიორთათვის მართლაც სამაგალითო იყო, იყო მატჩები, რეხვიაშვილი სამის საკეთებელსაც მარტო რომ აკეთებდა.

ეს იყო და, ძნელი სათქმელია, როდის ან საერთოდ თუ განმეორდება. ალეკო რეხვიაშვილის სათამაშო პიკმა გადაიარა და აგერ, ახლა ექვსი თვის უთამაშებელიც კი არის. „სკონტოდან“ წასვლის შემდეგ ახალი და უფრო სახელოვანი კლუბის ძიებაში ალეკომ რამდენიმე თვე უქმად დაკარგა, მერე, დაახლოებით შარშან ამ დროს, რეხვიაშვილი მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგს“ მიადგა, კონტრაქტი გააფორმა და...

— მოსკოვში ჩემი საქმეები თავიდან ძალიან კარგად აეწყო, ვფიქრობდი, ნაბიჯი წინ წავდგი-მეთქი, მაგრამ ეს ჩემი ფიქრები კლუბის მიზნებმა გაფანტა — გვითხრა ალეკო რეხვიაშვილმა რიგიდან — ძნელია თამაში, როცა ჩემპიონატის დაწყებისთანავე კლუბის ხელმძღვანელობა გაგრძნობინებს, გეტყვის, რომ ჩვენი მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. არადა, მოსამზადებელი პერიოდისას მომავალი ისე დახატეს, მეგონა, ჩემპიონები თუ არა, სამეულში ნაღდად მოვხვდებოდით. მერე ტრავმა იყო, მწვრთნელებთან უთანხმოება და...

— რუსეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სხვა გუნდში გადასვლის ვარიანტები რომ გქონდა, ვიცით. რატომ არაფერი გამოგვიდა?

— ტრავმები. ტრავმებმა შემიშალა ხელი, თორემ აქამდე „ტორპედო-მეტალურგზე“ უკეთესს თუ არა, ივივე დონის გუნდში კი ვითამაშებდი.

— ახლა რას აკეთებ?

— ვვარჯიშობ და ახალ გუნდს ველი. ლატვიის ჩემპიონატში ახლა შესვენებაა, „სკონტო“ შვებულებაშია, მე კი გუნდის დუბლებთან ერთად ვვარჯიშობ. მგონი, ფორმა ბოლომდე აღვიდგინე და ერთ-ორ კვირაში, ვიმედოვნებ, საჩემო გუნდსაც ვიპოვი.

— ხომ არ სჯობდა, „სკონტოდან“ უფრო ადრე წასულყავი?

— სჯობდა, როგორ არ სჯობდა, მაგრამ ისევ და ისევ ტრავმებმა შემაყოვნა. ეტყობა, ესეც ჩემი ბედია — როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა თავის გამოჩენა, როცა საშუალო ევროპული დონის გუნდებში ვვარჯიშობდი და ვფიქრობდი, დღეს-ხვალ კონტრაქტს შემომთავაზებენ-მეთქი, სწორედ მაშინ ჩემი ბედის ბორბალი უკუღმა ტრიალებდა.

— ხელი ხომ არ ჩაგიქნევია?

— ხანდახან, ახალ-ახალი ტრავმების მერე ასეთი ფიქრებიც მქონდა, მაგრამ ჩემი ხასიათია — იოლად არ ვნებდები. საერთოდ, ცხოვრებას რეალურად ვუყურებ და ჩემი შესაძლებლობებიც კარგად ვიცი.

— ჩვენც გვითხარი შენს შესაძლებლობებზე...

— ეს ტრავმები რომ არა, საშუალო ევროპული დონის გუნდში თამაშს ახლაც შევძლებდი. თუმცა, ხომ იცით, ახლა, როცა სამედიცინო შემოწმებაზეა საქმე, ყველაფერს დეტალურად, მიკროსკოპში უყურებენ.

— გამოდის, ისევ რუსეთის ჩემპიონატს უმიზნებ...

— თამაშს ან რუსეთში გავაგრძელებ, ან აქ, ლატვიაში დავრჩები. რუსეთში თამაშის დროსაც მაწუხებდა ტრავმები, მაგრამ არაფერს ვიმჩნევდი. ხანდახან ნემსებითაც კი მითამაშია. ჩემი თავის ამბავი ვიცი, დატვირთვას სწორად ვანაწილებდი და ტრავმა თამაშისას ხელს არ მიშლიდა.

— ნაკრებში დაბრუნებაზე აღარ ფიქრობ?

— ნაკრებში დაბრუნების იმედი არც არასდროს დამიკარგავს. ცოტა ხანში ავთამაშდები და ალბათ მწვრთნელის ყურადღებასაც დავიმსახურებ. ვიცი, რომ ალენ ჟირესი თავის გამოჩენის საშუალებას ყველას აძლევს და ვიმედოვნებ, გამონაკლისი არც რეხვიაშვილი იქნება...

— საგენტოებმა გავრცელეს ინფორმაცია, რეხვიაშვილს ლატვიის მოქალაქეობის მიღება სურსო. მართალია?

— აქაურ ჟურნალისტებს ვუთხარი, მეუღლე ლატვიელი მყავს, ლატვია ჩემი მეორე სამშობლოა და თქვენი ენის შესწავლა დავიწყე-მეთქი. საქმე ისაა, რომ ლატვიაში ცხოვრების უფლება რომ გქონდეს, ერთი-ორი ღერი ლატვიური მაინც უნდა იცოდე. გამოცდაა ენაში ჩასაბარებელი და მერე სპეციალური კომისიის გადასაწყვეტია, მოგცემენ თუ არა აქ ცხოვრების უფლებას. მოქალაქეობისთვის კი ენის ცოდნაც აუცილებელია და თან ლატვიელზე ათი წლის დაქორწინებული მაინც უნდა იყო. ასე რომ, ახლა ძალიანაც რომ მინდოდეს, ლატვიის მოქალაქეობას ჯერ არავინ მომცემს, მერე კი ვნახოთ... რატომაც არა, მივიღებ ლატვიის მოქალაქეობას. ეს ქვეყანა გაერთიანებული ევროპის წევრია, საზღვრები ღიაა და ჩემი ცხოვრებისთვისაც, ვფიქრობ, ასე უკეთესი იქნება. მით უმეტეს, შესაძლოა, მალე საქართველოშიც ორმაგი მოქალაქეობის კანონიც მიიღონ.

ძობა ინასარიძე



ეროვნულ ნაკრებში თამაშისას ალეკო რეხვიაშვილი ფრანჩესკო ტოტისაც გადაჰყრია

ჯანაშია გაჩოჩნდა

რამ გაყვა ზაზა და სიომინები?!

არ გაგიკვირდეთ და, საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ყოფილი თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია ფეხბურთში ბრუნდება. წელიწადზე მეტია, ჭირვეულ ფეხბურთელს არსად უთამაშია, თუმც, როგორც ჩანს, უბურთოდ ვეღარ გაძლო და... ჯანაშია რუსულ პირველდივიზიონელ კალინინგრადის „ბალტიკას“ მოელაპარაკა და დღე-დღეზე კონტრაქტსაც გააფორმებს.

28 წლის ჯანაშია უკვე კალინინგრადშია და ამ გუნდის ტულის „არსენალთან“ თამაშსაც დაესწრო, ჟურნალისტებთან საუბარში კი თქვა, მშვენიერ ფიზიკურ ფორმაში ვარ და ძალიან მინდა, „ბალტიკას“ სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებაში დავეხმაროო.

შეგახსენებთ, რომ ჯანაშია ბოლოს თურქულ „ქოჯაელისფორში“ თამაშობდა, მანამდე კი თბილისური „ლოკომოტივის“ მაისურის მორგებაც მოასწრო.

და ერთიც, თავის დროზე იური სიომინის ფავორიტს „ბალტიკაში“ მისივე შვილი, უმცროსი სიომინი გაწვრთნის.

კახა შალამბერიძე

გაჭირვებამ სკალას აბრამიძე აჩვენა

მოსკოვის „სპარტაკმა“ რუსული პრემიერლიგის მეორე ეტაპისთვის მზადება დაიწყო. კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელად ნევიო სკალა დატოვა, არადა, იტალიელის მოხსნაზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც უკვე მომხდარ ამბავზე.

„სპარტაკი“ ახლა შეკრებაზეა, დღეში ორჯერ ვარჯიშობს და შაბათს ამხანაგური მატჩიც გამართა, თუმც იმ თამაშს უფრო საქველმოქმედო ეთქმოდა. ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოსკოველები ქალაქ პეტუშკის ესტუმრნენ და იქაურ „დინამოს“ გაეჯიბრნენ. მატჩს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები დაასწრეს.

თამაში ორი 25-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა და გამოცდილმა სპარტაკელებმა 4:0 მოიგეს. ჩვენთვის კი საინტერესო ისაა, რომ ნევიო სკალამ გიორგი ლომაიას გარდა ვალერი აბრამიძეც ათამაშა. აქვე „სარბიელში“ ცოტა ხნის წინ დაბეჭდილ ინტერვიუსაც გავიხსენებთ, სადაც აბრამიძემ გვითხრა, არ გაგიკვირდეთ, ისევ „სპარტაში“ თუ დავბრუნდიო. როგორც ჩანს, ქართველი მცველის ვარაუდი მართლდება.

მოსკოველთა ქართველმა მეკარე *გიორგი ლომაიამ* კი გუშინ ეს გვითხრა:

— აბრამიძე უკვე ჩვენთან ერთად ვარჯიშობს. ჯერჯერობით მისი საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არაა, მაგრამ მის განაცხადში შეყვანას წინ თითქმის არაფერი უდგას.

— მით უმეტეს, „სპარტაკის“ ყველაზე სუსტი რგოლი დაცვაა...

— ამას ყველა ხედავს და ალბათ სკალამ ვალერიზე ამიტომაც შეაჩერა არჩევანი. ვნახოთ, რა როგორ იქნება. ამ შეკრების მერე ბევრი რამ გაირკვევა.

კახა შალამბერიძე

დინამო საკონტროლოებს ბაქო-ერევნით დაიწყებს

თბილისის „დინამოს“ შვებულება დღეს დაუმთავრდა და გუნდი დამდეგი, სეზონისთვის მზადებს შეუდგა. სანამ დინამოელები უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრებიან, ორი ამხანაგური მატჩის გამართვას აპირებენ — 12 ივნისს ბაქოს „ნეფთჩის“ უმასპინძლებენ ეროვნულ სტადიონზე, ხოლო 15 ივნისს ალბათ ერევნის „პიუნიკს“ — სომხებთან შეხვედრა ბოლომდე გადაწყვეტილი ჯერ არ არის, თუმც ალბათობა უფრო იქითკენაა, რომ „დინამოს“ „პიუნიკიც“ ეწვევა.

ამხანაგური მატჩები

სტვენის ხმა გერმანულ ყურებში

მათეუსმა ფიოლერი ვერ დაიჯერა

ოლივერ კანმა ამჯერად ორჯერ გამოიღო

გერმანია 0:2 უნგრეთი

0:1, 0:2 ტორგელე (7, 31)

გერმანია: კანი, ჰინკელი (შვაინსტაიგერი 46), ვიორნსი, ნოვოტნი (ბაუმანი 61), ლამი, შნაიდერი, ჰამანი (ერნსტი 84), ბალაკი, ფრინგსი, ბობიჩი (პოდოლსკი 74), კლოზე (ბრდარიჩი 46)

მწვრთნელი: რუდი ფიოლერი

მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

36 590 მაყურებელი

გერმანია კაიზერსლაუტერნში ლოთარ მათეუსის უნგრეთთან შერცხვა და ფანებმა რუდი ფიოლერი და ბუნდესნაკრები პორტუგალიაში სტვენით გააცილეს.

მადარია ფორვარდმა შნდორ ტორგელემ ნახევარ საათში გატანილი ორი გოლით მასპინძლები გააოგნა.

გერმანელებმა აპრილში უკვე გააცოფეს ფანები, როცა რუმინეთთან 1:5 წააგეს. კაიზერსლაუტერნში უნგრელებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ და მიუხედავად ამისა, მატჩი გულიანად დაიწყეს.

ჯერ იყო და, ტორგელემ კრისტიან ვიორნსი ჩამოიცილა და ოლივერ კანს დაახლოებით 11 მეტრიდან გაუტანა, 24 წუთში კი მასპინძელთა მეკარე მეორედ დაამწუხრა.

მეორე ტაიმში გაბორ კირალიმ მიხაელ ბალაკს თავით დარტყმული ბურთი აუღო. შეცვლაზე შესულმა ბასტიან შვაინსტაიგერმა და ლუკას პოდოლსკიმ გერმანელთა შეტევები ვერ გაამრავალფეროვნეს და რუდი ფიოლერის საიუბილეო, 50-ე სანაკრებო მატჩი მარცხით დასრულდა.

ბუნდესმწვრთნელი ნამატჩევს, ცხადია, ნირწამხდარი იყო: „შედეგით უკმაყოფილო ვარ, ამ შეხვედრამ გვაჩვენა, რომ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო. პირველ ტაიმში გუნდი საშინლად გამოიყურებოდა, ოდნავ უკეთესი იყო შესვენების შემდეგ“.

„ის, რაც ჩემმა გუნდმა გერმანიასთან შეძლო, დაუჯერებელია“ — ფიოლერისგან განსხვავებით ჩინებულ გუნებაზე იყო უნგრელთა გერმანელი მწვრთნელი ლოთარ მათეუსი.

ოლივერ კანმა ნამატჩევს ბევრი ილაპარაკა: „ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ მუნდიალის ფინალისტები ვართ და პორტუგალიაში მივემგზავრებით, როგორც მსოფლიოს მეორე გუნდი. მართალია, ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ. დარწმუნებული ვარ, ჰოლანდიასთან სულ სხვა გერმანიას ნახავთ“.

გერმანიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა გერჰარდ-მეიერ ფორფელდერმა კი განაცხადა: „ჯგუფიდან აუცილებლად გავალთ, ჰოლანდიასაც მოვუგებთ და ჩეხეთსაც“.

ვაჟა ხუციშვილი

ბარუშმა გაიტანა, ბარუში გაიტანეს

ჩეხეთი 2:0 ესტონეთი

1:0, 2:0 ბაროში (6, 22)

ჩეხეთი: ჩეხი (კისკი 46), გრიგერა (ჰუბშმანი 46), ჟირანეკი (როზენალი 72), უიფალუში (ბოლფი 46), იანკულოვსკი (მარეში 46), პობორსკი (პლასილი 46), გალაშეკი (ტისი 46), ნედვედი (შმიცერი 46), როსიცკი, კოლერი (ვახოუშეკი 46), ბაროში (ჰაინცი 36)

მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი

მსაჯი: ბერნარდ ბრიუგგერი (ავსტრია)

11 873 მაყურებელი

ჩეხთა თავდამსხმელმა მილან ბაროშმა ბევრი რამ მოასწრო — ჯერ დუბლი შეასრულა, შემდეგ კი დაშავდა და პირველი ტაიმის 36-ე წუთზე შეცვალეს. ექიმთა თქმით, მას კუნთი დაეჭიმა.

„ლივერპულის“ ფორვარდმა შეხვედრის დასაწყისში ტომაშ როსიცკისგან მიიღო ბურთი და მარტინ კაალმას შანსი არ დაუტოვა.

მოგვიანებით ბაროშმა კვლავ როსიცკისგან იხეირა. დორტმუნდის „ბორუსიას“ ჩია ნახევარმცველის დარტყმული ბურთი ხარიხამ უკუაგდო და ლივერპულელმა დასწრებაზე იყოჩაღა.

„მან ჩინებულად ითამაშა“ — თქვა მწვრთნელის თანაშემწე მიროსლავ ბერანეკმა გოლების ავტორზე.

ჩეხებმა ზედიზედ მეორე ამხანაგურ მატჩში იმარჯვეს, რამდენიმე დღის წინ ბულგარელებს 3:1 სძლიეს. ეს კარელ ბრიუკნერის შეგირდებისთვის ბოლო ამხანაგური მატჩი იყო ევრო 2004-ის დაწყებამდე.

ვაჟა ხუციშვილი

ВІД

Ungarn machten Gulasch aus uns

უნგრელებმა ჩვენგან გულიაში გააკეთეს

დელ ბოსკე ბეი

ულვაშა სენიორი შავ არწივებს გაწვრთნის

რამდენიმე ხნის წინ ფლორენტინო პერესმა მადრიდის „რეალის“ ყოფილ მწვრთნელს, ვისენტე დელ ბოსკეს კანტერას, ანუ კასტილიური გრანდის ახალგაზრდული გუნდის სელექციონერობა შესთავაზა. დელ ბოსკეც თითქოს თანახმა იყო, მაგრამ მერე ვითარება შეიცვალა — ყოზე მაურინიუს ლონდონის „ჩელსიში“ გადაბარგებით დაობლებულმა „პორტუმ“ ინდომა მისი სამსახური, თუმც ეს გარიგებაც ჩაიშალა. გუშინ კი მადრიდულ სასტუმრო „რიცში“ გამართული ხანგრძლივი თათბირის შემდეგ დელ ბოსკემ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომელ გუნდს გაწვრთნის — ვისენტე თურქი „შავი არწივების“, სტამბოლის „ბეშიქთაშის“ დამრიგებელი გახდა



სამიოდ დღის წინ „ბეშიქთაშის“ შუამავლები დელ ბოსკეს აგენტს, პედრო დე ფილიპეს დაუკავშირდნენ და თავიანთი ზრახვები ამცნეს. დადებითმა პასუხმაც არ დაიგვიანა და „ბეშიქთაშის“ მამებიც უმალ ჩაფრინდნენ მადრიდს. ზემოთაც ვთქვით, კონტრაქტი სასტუმრო „რიცში“ გაფორმდა და მის თანახმად დელ ბოსკე „ბეშიქთაშში“ ორი წელი იმუშავებს. ერთი კია, მწვრთნელის მოთხოვნით, თურქებმა კონტრაქტში ასეთი მუხლიც შეიტანეს — თუ დელ ბოსკესა და მის ოჯახს ამა თუ იმ მიზეზთა გამო სტამბოლში რაიმე საფრთხე დაემუქრებათ, ესპანელი დაუყოვნებლივ გაწყვეტს კონტრაქტს და ჯალაბითურთ სამშობლოში დაბრუნდება.

შევნიშნოთ, რომ თურქები შარშან ზაფხულსაც ცდილობდნენ ულვაშას გადაბირებას, თუმცა იმ დროს „რეალის“ გემონანახმა მწვრთნელმა ნაუცბათევად აღმოსავლეთს გამგზავრება არ გარისკა. ახლა კი დელ ბოსკეს ოსმალეთის ერთერთ უძველეს კლუბში მოუწევს მუშაობა. „ბეშიქთაში“ დაარსებიდან 95 წელს ითვლის, 11-ჯერ თურქეთის ჩემპიონობა მოუგია, 5-ჯერ ქვეყნის თასი, შვიდგზის ნაციონალური სუპერთასი და ექვსგზის ლიგის თასი. წინა სეზონში კი სტამბოლელებმა მადრიდის „რეალის“ მსგავსი გზა გაიარეს — იქაური სუპერლიგის პირველი ეტაპი ძლევამოსილად ჩაამთავრეს, თუმცა დასასრულისკენ შეფერხდნენ და საჩემპიონთალიგო ადგილებთან გამოთხოვებულთ ახალ სეზონში ბურთაობა მარტო უეფას თასზე მოუწევთ.

ვისენტე დელ ბოსკეს თურქ გულშემატკივრებს დღეს წარუდგენენ. ულვაშამ სტამბოლში დამხმარე მწვრთნელთა ძველნაცადი სამეული — ტონი გრანდე, ხაბიერ მინიანო და პაკო ხიმენესი — ჩაიყვანა. ესპანური მედია კი დელ ბოსკეს გულთბილად დაემშვიდობა. „ვისენტე შესანიშნავი მწვრთნელია და, ვიმედოვნებთ, „ბეშიქთაშიც“ დიდ წარმატებებს მიაღწევს“ — წერს გუშინდელი „მარკა“.

ლადო ხომერიკი

ამხანაგური მატჩები

შვეიცარიელებს ლიხტენშტაინის დამარცხება ისე გაუხარდათ, თითქოს ევროპის ჩემპიონატის ფინალი მოეგოთ

ჯუჯამ კუნს გაუჯანჯლა

შვეიცარია 1:0 ლიხტენშტაინი

1:0 გიგაქსი (90)

შვეიცარია: ცუბერბიულერი, ჰაასი (ბერნერი 46), მ. იაკინი, ანშო (ცვისიგი 46), შპიხერი (მანინი 46), გიგაქსი, სელესტინი, ვიკი (ჰუგელი 46), ჰ. იაკინი, შაპუიზა (რამა 81), ფრეი (ვონლანტენი 81)

მწვრთნელი: იაკობ კუნი

მსაჯი: დიტმარ დრაბეკი (ავსტრია)

11 000 მაყურებელი

ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გუნდებთან თამაშში ჯუჯა ლიხტენშტაინმა ფეხბურთი ისწავლა. პორტუგალიაში წამსვლელ რამდენიმე ნაკრებთან „ჯუჯებმა" დიდი ანგარიშით წააგეს, მაგრამ ბოლოს კინალამ შვეიცარიელები გაამწარეს. არადა, ლიხტენშტაინს ხომ იმიტომ ხვდებიან, რომ ბევრი გოლი გაუტანონ და შეჯიბრის წინ ფსიქოლოგიურად გაჯანსაღდნენ. ამ შემთხვევაში იაკობ კუნის ნაკრები ალბათ გაჯანსაღებაზე კი არა, მატჩის მიწურულს იმაზე ფიქრობდა, უსუსურ მეტოქეს სამარცხვინოდ არ დავუზავდეთო.

ცხადია, ევრო 2004-ის მონაწილე გუნდი უტევდა, თუმც „ჯუჯათა" მეკარე პეტერ იელი ფეხზე მყარად იდგა, მან პირველ ტაიმში ალექსანდრ ფრეისა და სტეფან შაპუიზას დარტყმულები მოიგერია.

კუნმა შესვენებისას ოთხი ფეხბურთელი შეცვალა, მაგრამ მხოლოდ შეხვედრის მიწურულს გაიხარა.

90 წუთის განმავლობაში ითამაშა კაპიტანმა მურატ იაკინმა, რომელმაც გერმანიასთან წაგებული მატჩი გამოტოვა, ხოლო იოჰან ფოგელი და პატრიკ მიულერი მწვრთნელმა დაასვენა.

დანიელ გიგაქსმა თამაშის ბოლოს, საჯარიმოს ხაზიდან საგოლედ დაურტყა ლიხტენშტაინის მეკარეს და შვეიცარიამაც ამოისუნთქა.

ვაჟა ხუციშვილი

ძველსაბჭოური ფრე

ლატვია 2:2 აზერბაიჯანი

1:0 ვერპაკოვსკისი (53), 1:1 ე. გულიევი (55), 1:2 გ. გურბანოვი (74პ), 2:2 ზემლინსკისი (82პ)

ლატვია: პიდელსი, ზირნისი, სტეპანოვსი, ზემლინსკისი, ბლაგონადეჟდინი (კორბლიოვსი 62), ბლეიდელისი (ლობანოვსი 46), ლაიზანსი (მიხოლაპსი 86), ასტაფიევსი, რუბინსი, ვერპაკოვსკისი (შტოლცერსი 64), რიმკუსი (პროხორენკოვსი 46)

მწვრთნელი: ალექსანდრს სტარკოვსი

მსაჯი: იარი ჰალსონლაჰტი (ფინეთი)

8 000 მაყურებელი

ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტმა აზერბაიჯანს ამხანაგურ მატჩში ვერ მოუგო, თუმც მასპინძელთა მწვრთნელმა ალექსანდრ სტარკოვსმა ნამატჩევს განაცხადა: „მეორე ტაიმში უკეთესად ვითამაშეთ, ვიდრე პირველში, ვერპაკოვსკისმა კი ბრწყინვალე გოლი გაიტანა და დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელია. გულშემატკივრებს ეს შედეგი ალბათ არ გააწბილებთ, რადგან ჩვენი მოწინააღმდეგე საკმაოდ ტექნიკური გუნდი იყო".

ლატვიელებმა ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში, ვერპაკოვსკისის თავური დარტყმის შედეგად გახსნეს, თუმც ორი წუთის შემდეგ ემინ გულიევმა 25 მეტრიდან ზუსტი გასროლით გაქვითა.

ანატოლი პონომარიოვის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ყურბან გურბანოვმა გამოიყენა, ხოლო დამხვდურებმა შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთით ადრე გაათანაბრეს. ანდრეის რუბინსი საჯარიმოში წააქციეს, მიხაილს ზემლინსკისმა კი თერთმეტმეტრიანი ხეირიანად შეასრულა.

ვაჟა ხუციშვილი

ვინ თუ არა ზიდანი



საფრანგეთი 1:0 უკრაინა

1:0 ზიდანი (89)

საფრანგეთი: ბარტეზი, გალასი (სანიოლი 76), ტურამი, სილვესტრი, ლიზარაზუ, პირესი (ვილტორდი 83), ვიეირა, მაკელელე (პედრეტი 83), ზიდანი, ანრი, საჰა (მარლე 76)

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

უკრაინა: შოვკოვსკი, სტაროსტიაკი (ბიდნენკო 71), ტიმოშჩუკი (ვენგლინსკი 90), იეზერსკი, ფიოდოროვი (ჩეჩერი 79), ნესმაჩნი, რუსოლი, ვორობეი (კოსირინი 69), ო. გუსევი (რებროვი 62), როტანი (ნაზარენკო 84), შელაევი

მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

მსაჯი: დარკო ჩეფერინი (სლოვენია)

60 000 მაყურებელი

ეს იყო საფრანგეთის ნაკრების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მატჩი.

და კიდევ, ეს იყო უკრაინის ნაკრების მეასე შეხვედრა.

ახლა კი დავსვამთ კითხვას, რომელზეც პასუხი ძალიან ადვილია: გუნდის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ისტორიული შეხვედრაში ვინ გაიტანდა ერთადერთ გოლს, თუკი არსებობს ფეხბურთელი, რომელსაც გატანილი აქვს გოლები მსოფლიოს ჩემპიონატის და ჩემპიონთა ლიგის ფინალებში, „რეალ" — „ბარსას" „ელ კლასიკოებში" და სხვა გადამწყვეტ შეხვედრებში, პლუს ამ ფეხბურთელის მთავარი ნიჭი გოლების გატანა სულაც არ არის?

ხომ ვთქვით, რომ პასუხი მეტისმეტად იოლია: გოლი ზინედინ ზიდანმა გაიტანა.

ეს მოხდა შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, როდესაც ვილი სანიოლის ჩაწოდებული ბურთი ტიერი ანრიმ დაიმორჩილა და ზიდანს დაუგორა.

მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. თუმცა ქების ღირსნი არიან უკრაინელებიც, კერძოდ კი, მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკი, რომელმაც ზიდანსა და რობერ პირესს ორი ძნელად ასაღები ბურთი აუღო.

ერთი სიტყვით, საფრანგეთის ნაკრებს უკვე 18 წაუგებელი თამაში დაუგროვდა, ხოლო გოლი თითქმის წელიწადია, არ გაუშვია.

მატჩის შემდეგ „ლურჯების" მწვრთნელმა, ჟაკ სანტინიმ განაცხადა: „დაძაბული, მჭიდრო მატჩი იყო. ფეხბურთელებს ოსტატობის გამოსავლენად ფართობი აღარ რჩებოდათ. ჩვენი ამოცანა ამ შეხვედრაში გამარჯვება გახლდათ, თუმცა იმავდროულად ევროპის ჩემპიონატზეც ვფიქრობდით. მოკლედ, მატჩი ისეთი გამოვიდა, როგორსაც ველოდით. უკრაინა ხომ კარგი გუნდია, რომელიც უკვე ევრო 2006-სთვის ემზადება. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მორიგი გამარჯვება მაინც მოვიპოვეთ, რაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის ძალიან კარგი. ჩვენი მომზადება გეგმის მიხედვით მიდის და კვირისთვის მზად ვიქნებით".

კვირას უკვე ევროპის ჩემპიონატია. საფრანგეთი ინგლისს ხვდება.

პაპუნა კედია



რუმინეთი

თასის ფინალი

დინამო 2:0 ოცელული

1:0 ვ. მუნტიანუ (67), 2:0 კ. ნიკულესკუ (77)

მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი

1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

უნამი 3:2 კრუზ ასული (0:0)

გვადალახარა 2:0 ტოლუკა (0:0)

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი. XL ტური

რაიო ვალეკანო 2:0 კორდობა

1:0 პულიდო (65), 2:0 ბ. ინიესტა (80)

ტენერიფე 2:0 ალმერია

1:0 სესარ ბელი (58), 2:0 კეკო (76)

ლევანტე	40	21	12	7	53:29	75
ნუმანსია	40	20	10	10	57:30	70
ხეტაფე	40	18	16	6	48:34	70
ალავესი	40	18	14	8	45:31	68
სპორტინგი	40	19	10	11	56:38	67
უელვა	40	13	20	7	42:31	59
კადისი	40	16	9	15	49:45	57
ტენერიფე	40	11	20	9	35:33	53
ხერესი	40	12	17	11	46:47	53
ეიბარი	40	12	16	12	42:35	52
ელჩე	40	13	11	16	49:60	50
ტერასა	40	12	13	15	40:44	49
მალაგა B	40	11	15	14	44:53	48
სალამანკა	40	9	20	11	44:42	47
ალმერია	40	10	17	13	42:46	47
ლეგანესი	40	9	19	12	35:43	46
პოლი ეხიდო	40	11	13	16	28:38	46
სიუდად მურსია	40	10	16	14	49:62	46
კორდობა	40	9	16	15	35:42	43
რაიო	40	11	9	20	43:60	42
ლას პალმასი	40	8	14	18	42:66	38
ალხესირასი	40	6	15	19	39:54	33

იყიდეთ!

პერსონალური კომპიუტერები



პენტიუმ 1 (200 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 64 MB,
HDD — 1,2 GB,
ვიდეო მეხსიერება — 1 MB,
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — SAMSUNG SYNCMASTER 15"
ფასი — 100 $

პენტიუმ 1 (166 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 38 MB,
HDD — 2,0 GB,
ვიდეო მეხსიერება — 1-4 MB (On Board),
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — LG STUDIOWORKS 15"
ფასი — 100 $

ტელეფონი: 39-48-29, 38-11-14

ფეხბურთის პლატინური სიყვარული

ასი წელი და ასი ათასი მოგონება

საფრანგეთის ნაკრები ასი წლისაა, თუმცა, როდესაც „ლურჯ გუნდს“ ვახსენებთ, თვალწინ უმალ კონკრეტული სახეები გვეხატება და არა ამორფული, უსახო რამ საუკუნე. დღევანდელ ქომაგთათვის საფრანგეთი ზინედინ ზიდანია თავის „სამეგობროსთან“ ერთად, გუშინდელთათვის მიშელ პლატინი და მისი „საძმო“, ხოლო გუშინწინდელთათვის ჟიუსტ ფონტენი, რაიმონ კოპა და მათი ამალა, ოღონდ მათთვის, ვინც ობიექტურობას არ კარგავს, ამ ასწლეულის ცენტრში — ევრო 2004-ის დამთავრებამდე მაინც — პლატინი დგას.

ქვემოთ გთავაზობთ კიდეც მის ინტერვიუს

— დიდ შეჯიბრებაში პირველად 1978 წელს ითამაშეთ. საინტერესოა, რას ფიქრობდით, რას განიცდიდით მაშინ?

— მაშინ ბავშვობის ოცნება ამიხდა. მახსოვს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად გადამწყვეტ თამაშში ბულგარეთისთვის უნდა მოგვეგო. იმ საღამოს „პარკ დე პრენსზე“ ჯადოსნური ატმოსფერო სუფევდა. მეტიც, ახლა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ ის საღამო ჩემს კარიერაში განსაკუთრებული გამოდგა. „პარკზე“ ისეთი საღამო აღარ მქონია. მერე კი მახსოვს, რომ არგენტინაში ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი ჩავიყვანეთ. დაშავებული გვყავდა მეკარეც. ამასთან, კენჭისყრისას იღბალმა ზურგი გვაქცია და ჯგუფში იტალიასა და არგენტინასთან მოგვახვედრა. იტალიასთან კარგად ვითამაშეთ და 2:1 მოვიგეთ. არგენტინასთან კი კიდევ უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ იმავე ანგარიშით დავმარცხდით, რადგან ჩვენს კარში საეჭვო პენალტი დანიშნეს. ეს იყო და ეს. მერე შინ დავბრუნდით.

— როგორ, მეტი არაფერი გახსოვთ?

— დაუვიწყარი იყო „რივერ პლეიტზე“ არგენტინელებთან შეხვედრა. ლუკემ მეორე გოლი რომ გაგვიტანა, ისეთი ხმაური ატყდა, მე და ბერნარ ლაკომბმა ბურთი ცენტრში რომ მივიტანეთ, ერთმანეთს გაოცებულებმა გადავულაპარაკეთ. საოცარი რამ ხდებოდა, მგონი გვიხაროდ გოლი რომ გავუშვით, სამაგიეროდ, ცხოვრებაში ასეთი რამის მოწმენი გავხდით.

— ესპანეთში 1982 წელს როგორღა გრძნობდით თავს?

— გვინდოდა პირველი ეტაპი დაგვეძლია. მიზნად ეს გვქონდა დასახული, რადგან გუნდად ჩამოყალიბებას მაშინღა ვიწყებდით. პირველ შეხვედრაში ინგლისთან წავაგეთ 1:3. იმ თამაშში ბრაიან რობსონმა ყველა დროის ერთ-ერთი უსწრაფესი გოლი გაგვიტანა. მეორე ტურში ქუვეითს 4:1 მოვუგეთ, ხოლო გადამწყვეტ შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიასთან ვითამაშეთ ფრედ. ის თამაში არ უნდა წაგვეგო, ვიგებდით კიდეც, თუმც ბოლოს პანენკამ გაგვითანაბრა. მეორე ეტაპზე კი გაგვიმართლა, ჩრდილოირლანდიელებთან და ავსტრიელებთან მოვხვდით, გერმანიასა და ესპანეთს კი გადავურჩით.

— ერთი სიტყვით, ნახევარფინალისკენ გზა გაგეხსნათ. იქ?

— ჩვენი ნახევარფინალი სევილიაში ჩატარდა და ყველა დროის კლასიკურ თამაშთა რიცხვში მოხვდა. გერმანიის ძალიან ძლიერ გუნდს 3:1-ს ვუგებდით. არა, ის ჩემი კარიერის ყველაზე დიდი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი თამაშთაგანი ნამდვილად იყო. ჯერ მარტო შესრულების ხარისხი რად ღირდა, მერე ის, რომ შეხვედრა ჯერ ჩვენს მერე კი მათ სასარგებლოდ მიდიოდა, მერე შუმახერის ამბავი — ბატისტონს საჯარიმო მოედანში დაეჯახა, მაგრამ დაუსჯელი დარჩა... ასეთი მოკლე დროის განმავლობაში ამდენად ძლიერი და ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები არც მანამდე მქონია და არც მერე. სულისშემძვრელი თამაში იყო.

— იმ დღეს უფრო გამოცდილნი რომ ყოფილიყავით, შედეგი იგივე იქნებოდა?

— შესაძლოა, სხვაც ყოფილიყო. იტალიური გამოცდილება უკვე რომ მქონოდა, მატჩის საკვანძო ეპიზოდებში სხვა ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს მივიღებდი, მაგრამ მოდი, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ ამ თამაშის მსვლელობისას მივხვდით პირველად მართლა ძალიან ძლიერი გუნდი რომ ვიყავით. იმ დღეს, სევილიაში ჩვენ ზრდასრულნი გავხდით და შემდგომი ისტორია — 1984 წლის ევროპის ჩემპიონობა და 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ამბები — სათავეს სწორედ იქ იღებს.

— ანუ 1986 წელს თქვენ უკვე გრძნობდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონობისთვის უნდა გებრძოლათ?

— დიახ. ჩვენ მსოფლიოს უძლიერესი გუნდი ვიყავით. 1984 წლის ევროპის ჩემპიონებმა 86-ის შესარჩევი ეტაპი უიოლესად გავიარეთ და ჩავედით მექსიკაში, სადაც დიდი ნაკრების გედის სიმღერა უნდა გვემღერა. თუმცა, ორი რამ გვაწუხებდა: ალენ ჟირესი არ იყო ბოლომდე გამოჯანმრთელებული და მე კოჭი მაწუხებდა. ჩემი ამბავი, კარგად რომ წარმოიდგინოთ, ასე იყო: ბუცს ქუსლი მოვაჭერი, თორემ იმ ადგილას რომ მეხებოდა, ძალიან მტკიოდა. მანამდე ორი თვის განმავლობაში აბებს ვყლაპავდი გასიებული ადგილი რომ ჩამცხრალიყო და აღარ მეკოჭლა. სხვა მხრივ კი, ყველა ფორმაში იყო: სტოპირა, ბატსი, ბოსი, ბატისტონი... მოკლედ, ყველა ლოგიკით ჩვენი ტრიუმფის წელი უნდა დამდგარიყო.

— იქ იტალიას ძალიან დამაჯერებლად მოუგეთ. ელოდით ამას?

— იტალიელებს მოხარშულს ვიცნობდი და ამიტომ ჩვენი გუნდის ტაქტიკურ გეგმას სიტყვა შევაშველე. საერთოდაც, 1982 წლიდან საფრანგეთის ნაკრების ტაქტიკური მხარის განსაზღვრაში აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი.

— რამე განსაკუთრებულს გრძნობდით იმ შეხვედრაში? თქვენს წინააღმდეგ ხომ იუვენტუსელი მეგობრები თამაშობდნენ.

— განსაკუთრებული არაფერი მიგრძვნია. ერთი ეგ იყო, ჩემს თავს არ ვგავდი — ტკივილგამაყუჩებლებმა, სახლთან ორთვიანმა განშორებამ, სასტუმროებმა და ასეთმა წვრილმანებმა თუ მსხვილმანებმა დაღი დამასვეს. მახსოვს, იტალიასთან თამაშის წინა საღამოს გაეტანო შირეას ველაპარაკე და ორივემ ერთი და იგივე ვთქვით, თუ წავაგებთ და შინისკენ გავეშურეთ, ცუდი სულაც არ იქნებაო. ასეთ წუთებში ადამიანს აღარ ახსოვს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი დიადი შეჯიბრებაა, ისტორიას ქმნი და ასე შემდეგ. როდესაც ფეხბურთელი ხარ, ხანდახან გრძნობ, რომ რაღაც ადამიანური ძალიან გაკლია. ამიტომაა შინ თამაში დიდი უპირატესობა.

— 86-ში სამ უძლიერეს ნაკრებს ეთამაშეთ. იტალიას, ბრაზილიას და გერმანიას...

— იმ მატჩში, ბრაზილიის წინააღმდეგ, იყო ყველაფერი საუკეთესო, რაც ფეხბურთს ახასიათებს. თამაშის მოგება ორივე გუნდს შეეძლო და ასეთივე გახლდათ ნახევარფინალიც. ანდრეას ბრემემ სწორედ მაშინ გაგვიტანა, როდესაც ჩვენმა მეკარე ბატსმა, შეჯიბრების მსვლელობისას პირველად დაუშვა პატარა შეცდომა. იმ შეხვედრაში მეც გავიტანე ძალიან კარგი გოლი, რომელიც ოფსაიდის მიზეზით არ ჩამითვალეს. საერთოდ, გერმანიის ის ნაკრები საკმაოდ საშუალო იყო და უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, მაგრამ რად გინდა, გოლი ვერ გავიტანეთ და ეს გახლდათ საფრანგეთის ნაკრების დასასრული. კარს უკვე ახალი თაობა აკაკუნებდა.

— საბოლოოდ, კარიერაში ყველა შესაძლო ჯილდო მოიგეთ მსოფლის თასის გარდა. ალბათ, გული გწყდებათ.

— ჩემს კარიერაში სული და გული ჩავდე. ასე რომ, გული არაფერზე მწყდება. 1986 წელს რამდენადაც შეგვეძლო, დავარტყით, მაგრამ ბურთის მაგივრად ვეღარ ვიფრინეთ, იმ პერიოდში მეც ჩემს საუკეთესო ფეხბურთს ვთამაშობდი — იტალიაში ზედიზედ სამი წლის განმავლობაში საუკეთესო ბომბარდირი ვხდებოდი. იმ წლებში ბევრი ჩინებული ფეხბურთელი თამაშობდა, თუმცა ვფიქრობ, მათ შორის საუკეთესო მე ვიყავი.

— და მარადონა?

— დიეგო იტალიაში რომ ჩამოვიდა, სერია A-სთან შესარწყმელად გარკვეული დრო დასჭირდა. შემდეგ „ნაპოლიმ“ გუნდი მის გარშემო აგო. მან ბრწყინვალედ ითამაშა 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე და შემდგომ წელიწადს სკუდეტოც მოიგო. ბევრის აზრით, 1986 წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობა მე ჩამომართვა. მერწმუნეთ, გერმანია რომ დაგვემარცხებინა და ფინალში არგენტინას ჩვენ შევხვედროდით, შესაძლოა, ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო. ეჭვი არ მეპარება, არგენტინელებს ბატილუტა [illegible] დონის [illegible] [illegible] [illegible]

1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალი. საფრანგეთი — ბრაზილია. მიშელ პლატინის ვედრება ბურთმა არ ისმინა: ფრანგის დარტყმული პენალტი კარს ასცდა

— რა განსხვავება იყო მარადონასა და პლატინის შორის?

— მარადონა ამქვეყნად ინტენსიური ფეხბურთისთვის მოვიდა. მისი საფეხბურთო ცხოვრება ზღვარგადასული, დაუსრულებელი ნაკადისგან შედგებოდა, ჩემთვის კი ეს მხოლოდ თამაში იყო და არა დრამა. მე ჩემი ფეხბურთელობის მონა არასდროს ვყოფილვარ. მას ყურადღების ცენტრიდან გასვლა ძალიან გაუჭირდა, ოღონდ არც მე ვიყავი ისეთი ცივი და ყველაფრის მოანგარიშე, როგორც შესაძლოა, მას ვგონივარ.

— მაგრამ ის ჯადოსნურ ფეხბურთს თამაშობდა.

— როდესაც ბურთი ფეხში ჰქონდა, ისეთ რაღაცეებს აკეთებდა, რასაც მე ვერ ვაკეთებდი. ის ჩემზე ინტენსიური და ინდივიდუალისტი იყო. ჩემთვის ფეხბურთი უფრო დროული პასია, რომლის გადაწოდება, ცხადია, მასაც შეეძლო. მოკლედ, ჩვენ ძალიან განვსხვავდებოდით. მე კლასიკური ნახევარმცველი ვიყავი, თამაშის ორგანიზატორი, რომელსაც გოლების გატანაც შეუძლია, ის კი უფრო თავდამსხმელი გახლდათ.

— და თქვენი ბავშვობის გმირები ვინ იყვნენ?

— 1970 წლის ბრაზილიისა და იტალიის ნაკრებები. დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ბეკენბაუერმა და გერმანიის გუნდმაც. 1974-ში კი გერმანია და ჰოლანდია მეტ-ნაკლებად „ბაიერნის“ და „აიაქსის“ ფეხბურთელებით იყო შექმნილი. მე ორივე ძალიან მიყვარდა. თუმცა უფრო გერმანელები: ბრაიტნერი, მაიერი, მიულერი. ჰოლანდიელთაგან კრუიფი და ნეესკენსი... თუმცა, როდესაც უკვე თვითონ დავიწყე სერიოზულად თამაში, ფეხბურთს ცოტა სხვანაირად შევხედე.

— სხვა მოთამაშის ნიჭს თუ აღუტაცებიხართ?

— მე აღმაფრთოვანა ბერნდ შუსტერის ნიჭმა. ერთხელ, „ბარსელონაში“ ვნახე, ერთხელაც გერმანიის ნაკრებისა და დანარჩენი მსოფლიოს შეხვედრაში და მოვიხიბლე. ის ერთადერთია, ვინც ასეთი ძლიერი ეფექტი მოახდინა. მანამდე კი, ერთხელ, ახალგაზრდობაში, ჟან ტიგანამაც მოახდინა დიდი შთაბეჭდილება ლიონში, „სტად ჟერლანზე“ ხალხი მის სახელს იძახდა, მე კი არც ვიცოდი, ვინ იყო.

— დღევანდელ ფეხბურთელთაგან ვისი თამაშის ნახვა გსიამოვნებთ?

— იცით, უფრო ცალკეული გაბრწყინების აღნიშვნა მსურს, ვინმე რომელიმე ფეხბურთელის. დღეს ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც მარტო შეეძლოთ თამაშის ბედის მოტრიალება და ამ ბედის განსაზღვრა, როგორებიც იყვნენ პელე, მარადონა ან რუმენიგე, არ არიან. ბოლო, ვისაც ეს შეეძლო, რონალდო იყო, მაგრამ სამწლიანმა ტრავმამ დაღი დაასვა.

— ზიდანი?

— არა, საფრანგეთის ნაკრებს მის გარეშეც შეუძლია თამაში. სხვა საქმეა, რომ ზიდანის, მაიკლ ოუენის და ხუან ვერონის მაგვართა ფეხბურთის ნახვა მართლა მსიამოვნებს.

ევრო-2004. D ჯგუფი: ჰოლანდია ჩეხეთი, გერმანია, ლატვია

ნაპლეიოფლარი ჰოლანდია

ალფრედ ალალეთია



განრიგი

15 ივნისი
ჰორტუ. „დრაგაუ". 23.45
გერმანია – ჰოლანდია

19 ივნისი
ავეირუ. „მუნისიპალი". 23.45
ჰოლანდია – ჩეხეთი

23 ივნისი
ბრაგა. „მუნისიპალი". 23.45
ჰოლანდია – ლატვია

პლეი ოფის საპასუხო მატჩში ფრანკ დე ბურმა და მისმა თანაგუნდელებმა შოტლანდიას 6:0 გადაუარეს

D ჯგუფი რომ ყველაზე რთულია, ვინძლო, საკამათო არ უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, აქ სამი ოდინდელი ევროპის ჩემპიონია შეყრილი.

დღეს ჰოლანდიის ნაკრებზე ვლაპარაკობთ და ვთქვათ, რომ თუ ლატვიის ნაკრებს სათვალავში არ ჩავაგდებთ, მარტივი არითმეტიკა გვიჩვენებს, რომ ჰოლანდიას ჯგუფიდან გასასვლელად გერმანიასთან და ჩეხეთთან, სულ მცირე, სამი ქულის აღება მართებს. და თუ უფრო ღრმად ჩავეძიებით, ჰოლანდიელთათვის უფრო იოლი გერმანიის დამარცხება უნდა იყოს.

ჰოლანდიას გერმანიასთან 1996 წლის მერე არ წაუგია. ის ამხანაგური მატჩი იყო, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ეს გუნდები 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის მერე დიდ ტურნირებზე ერთმანეთს არსად გადაყრიან. მაშინ კი, შვედეთის ევროპის ჩემპიონატზე, ჰოლანდიამ გერმანიას ჯგუფში 3:1 მოუგო, პირველ ადგილზე გავიდა და ნახევარფინალშიღა დამარცხდა მომავალ ჩემპიონ დანიასთან პენლტების სერიაში.

ჰოლანდიას ჩეხეთთან უფრო უჭირს. გეხსომებათ, ისინი შესარჩევი ციკლისას ერთ ჯგუფში იყვნენ და პრაღაში მარცხმა ჰოლანდია პლეი ოფში გაისტუმრა. ჩეხებთან საშინაო მატჩამდე ჰოლანდიელებმა ბელარუსს და ავსტრიას სძლიეს, როტერდამში კი შეხვედრა 1:1 დასრულდა. თავიდან მასპინძლები რუუდ ვან ნისტელროის გოლით იგებდნენ, მაგრამ ბოლოსკენ მილან ბაროშმა ბრწყინვალე სოლო რეიდი წამოიწყო და იან კოლერს საგოლე პასიც გაუკეთა.

პრაღაში ჰოლანდიელები კარგ გუნებაზე ჩავიდნენ და საამისოდ მიზეზიც ჰქონდათ — ვან ნისტელროის, პატრიკ კლუივერტს, როი მაკაის, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს და პიერ ვან ჰოიდონკს აბა, რომელი დაცვა გაუძლებდა. მაგრამ მატჩის წინ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, კლარენს ზეედორფი შემადგენლობიდან ამოვარდა, რამაც ჰოლანდიელებს გეგმები აურია. ხოლო თამაშისას ედგარ დავიდსი გაძევეს და ჰოლანდიელთა იმედები საბოლოოდ გაცამტვერდა. პირველი ტაიმის მერე ჩეხები 2:0 იგებდნენ, თამაში კი საბოლოოდ 3:1 დამთავრდა.

ამის მერე, პლეი ოფში, ჰოლანდიამ „ჰემპდენ პარკზე" სქოთებთან 0:1 წააგო და დიკ ადვოკაატის თავზე ღრეუბლები მოიქუფრა. კიდევ კარგი, ჰოლანდიამ საპასუხო თამაში 6:0 მოიგო, თორემ ცოდვის ტირილი მერე გენახათ.

აი, ასე მივიდნენ ჰოლანდიელები პორტუგალიამდე, სადაც მათი მეორე მწვრთნელი რუუდ გულიტი უნდა ყოფილიყო. მაგრამ გულიტმა „ფეიენოორდთან" გააფორმა კონტრაქტი და შესაბამისად, ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩა.



ჰოლანდიელთა მთავარმეგოლე რუუდ ვან ნისტელროი

მეკარეები

1 ედვინ ვან დერ სარი ---- ფულემი, ინგლისი
13 რონალდ ვატერეუსი -- პსვ ეინდჰოვენი
23 სანდერ ვესტერფელდი -- სოსიედადი, ესპანეთი

მცველები

2 მიხაელ რაიციგერი --- ბარსელონა, ესპანეთი
3 იაპ სტამი ---------- მილანი, იტალია
4 უილფრედ ბუმა ------- პსვ ეინდჰოვენი
5 ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი --- ბარსელონა, ესპანეთი
15 ფრანკ დე ბური ---------- რეინჯერსი, შოტლანდია
18 ჯონი ჰეიტინგა ---------- აიაქსი, ამსტერდამი
22 ბუდევინ ზენდენი ---------- მიდლსბრო, ინგლისი

ნახევარმცველები

6 ფილიპ კოკუ ---------- პსვ ეინდჰოვენი
7 ანდი ვან დერ მეიდე -- ინტერი, იტალია
8 ედგარ დავიდსი ------- ბარსელონა, ესპანეთი
11 რაფაელ ვან დერ ვაარტი -- აიაქსი, ამსტერდამი
14 უესლი სნეიდერი ---------- აიაქსი, ამსტერდამი
16 მარკ ოვერმარსი ---------- ბარსელონა, ესპანეთი
19 არიენ რობენი ---------- ჩელსი, ინგლისი
20 კლარენს ზეედორფი ---------- მილანი, იტალია
21 პოლ ბოსველტი ---------- მანჩესტერ სიტი, ინგლისი

თავდამსხმელები

9 პატრიკ კლუივერტი -- ბარსელონა, ესპანეთი
10 რუუდ ვან ნისტელროი -- მანჩესტერ იუნ, ინგლისი
12 როი მაკაი ---------- ბაიერნი, გერმანია
17 პიერ ვან ჰოიდონკი - ფენერბაჰჩე, თურქეთი

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

მწვრთნელი

ადვოკაატი ნარინჯისფერია

დიკ ადვოკაატი საკლუბო ფეხბურთში იღბლიან მწვრთნელად ითვლება, სანაკრებო დონეზე კი ჯერ ვერაფრისთვის მიუღწევია. ცხადია, ევროპის ჩემპიონატზე, ისიც შემოვლითი გზით მოხვედრა, ჰოლანდიისთვის დიდი ვერაფერი ბედენაა



დიკ ადვოკაატი სამწვრთნელო სარბიელზე დიდმა რინუს მიხელსმა გაიყვანა

ადვოკაატი ჯერ კიდევ ფეხბურთელი იყო, მწვრთნელობა რომ დაიწყო. თან თამაშობდა — „უტრეხტსა" და როტერდამის „სპარტაში" — თან სამოყვარულო გუნდში მუშაობდა. ამგვარმა ვითარებამ ოთხი წელი გასტანა, რის მერეც ადვოკაატი „ნაღდი" მწვრთნელი გახდა. მისი პირველი პროფესიული კლუბი „ჰაარლემი" იყო.

1991 წელს დიდმა რინუს მიხელსმა, ვინაც სამი წლით ადრე ჰოლანდიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახადა, დიკ ადვოკაატი ნაკრებში თავის თანაშემწედ მიიწვია. იმხანად ჰოლანდიელები შვედეთის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იყვნენ ჩაბმულნი. ჰოლანდია შვედეთში იოლად კი გაემგზავრა, მაგრამ ის უკვე აღარ იყო ის დიდი გუნდი და ჩემპიონატის მსვლელობისასვე დაირხა ხმები, მიხელსი ნაკრებიდან მალე წავა, მის ადგილს კი ადვოკაატი დაიკავებსო. მართლაც, ნახევარფინალში დანიასთან პენალტებით წაგების მერე მიხელსი გადადგა, დიკ ადვოკაატმა კი ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დაიწყო მზადება.

შესარჩევი ჯგუფი რთული იყო. ჰოლანდიელებს მეტოქეებად ნორვეგია და ინგლისი ჰყავდათ. სენსაცია მოხდა: ჯგუფში პირველ ადგილზე ნორვეგია გავიდა, მეორე კი ჰოლანდია იყო, რომელმაც ინგლისს ერთი მატჩი ფრედ ეთამაშა, მეორეში კი მოუგო.

მუნდიალზე გამგზავრების წინ ადვოკაატს უსიამოვნება შეემთხვა — რუუდ გულიტმა მწვრთნელს ტაქტიკა დაუწუნა და ნაკრებიდან წავიდა. მიუხედავად ამისა, ჰოლანდიამ ჯგუფიდან იოლად გააღწია, მერე ირლანდიასაც მოუგო და მეოთხედფინალში წაიფორხილა — ადვოკაატის გუნდი მომავალ მსოფლიოს ჩემპიონთან, ბრაზილიასთან 2:3 დამარცხდა.

ერთი წლის მერე ადვოკაატი ნაკრებიდან წავიდა და „პსვ ეინდჰოვენის" მწვრთნელი გახდა, რომელსაც ქვეყნის ჩემპიონობა და თასი მოაგებინა.

ადვოკაატმა პსვ-ში სამი სეზონი იმუშავა, რის მერეც შოტლანდიაში გადაბარგდა და „რეინჯერსს" ჩაუდგა სათავეში. იქაც მოიხვეჭა სქოთური ჯილდოები, თუმცა ჩემპიონთა ლიგაში ვერაფერი გაახერხა.

სამი წლის წინ ადვოკაატი „რეინჯერსში" ტექნიკურ დირექტორად დანიშნეს, მაგრამ 2002 წლის იანვარში ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის შეთავაზებას დაყაბულდა და „ნარინჯისფერები" მეორედ ჩაიბარა. აქ მცირე წინააღმდეგობა შეხვდა. „რეინჯერსის" თავმჯდომარე დევიდ მიურეის მისი გაშვება არ სურდა და მხოლოდ შეთავსებაზე დაყაბულდა. მაგრამ მიურეი მალე მიხვდა, რომ ადვოკაატს მთელი ყურადღება ნაკრებზე ჰქონდა გადატანილი, რის გამოც კლუბში საქმეებს წესიერად ვეღარ უძღვებოდა და შეელია.

ადვოკაატს კონტრაქტი 2006 წლამდე აქვს გაფორმებული, თუმცა ამ ევროპის ჩემპიონატზე ნაკრების თამაში ალბათ დიდად განაზღვრავს მის შემდგომ ბედს. ისე, თუ გახსოვთ, დიკ ადვოკაატი საქართველოშიც არის ნამყოფი, როცა მისი პსვ ბათუმის „დინამოს" თასების მფლობელთა თასზე შეხვდა.

ევრო-2004. D ჯგუფი: ჰოლანდია ჩეხეთი, გერმანია, ლატვია

არგაშვება სტამზეა

ფეხბურთი ასეთი თამაშია: უნდა ეცადო, მეტოქის კარში გოლი გაიტანო, საკუთარში კი არ გაუშვა.

ასეთი შესავალი იმისთვის დაგჭირდა, რომ გვეთქვა: ჰოლანდიის ნაკრებს გამტანი ბევრი ჰყავს, გოლის არგაშვება კი მეტწილად იაპ სტამის თამაშზეა დამოკიდებული

ფრანკ დე ბური ძველებურად საიმედო ველარ არის და ტრავმებიც აწუხებს. აქედან გამომდინარე, იაპ სტამი ჰოლანდიელთა დაცვაში მთავარი კაცია. მაგრამ არის ერთი პრობლემაც — როგორ ფორმაშია სტამი. ამ კითხვის დასმის საფუძველი კი ნაღდად გვაქვს, რაკი სტამის კარიერაში ძალიან ხშირია აღმა-დაღმასვლები, ანუ ის სტაბილური ფეხბურთელი არ არის. თუმცა ერთიცაა — როგორ ფორმაშიც უნდა იყოს სტამი, ის ყოველთვის იბრძვის და ბოლომდე იხარჯება.

სტამის პროფესიული კარიერა „ზვოლეში" დაიწყო და ერთი წლის მერე ჰოლანდიის პირველ დივიზიონში იმხანად აღზევებულ „კამბურში" გაგრძელდა. ორი სეზონის მერე „კამბურმა" სტამი „ტილბურგს" სარფიანად მიჰყიდა და 600 ათასი დოლარი აართვა. სტამი „ტილბურგში" სულ ექვსი თვის გადასული იყო, როცა „პსვ ეინდჰოვენმა" აღმოაჩინა, რომ სწორედ სტამის დარი მცველი სჭირდებოდა და უმალ თავისთან წაიყვანა.

სტამმა და დიკ ადვოკაატმა ერთმანეთი სწორედ პსვ-ში გაიცნეს.

პსვ იმხანად დიდი გუნდი იყო. რონალდო, ლუკ ნილისი, ფილიპ კოკუ, ბუდეინ ზენდენი, ვიმ იონკი, არტურ ნუმანი — ყველანი იქ თამაშობდნენ.

მალე სტამმა სახელი ევროპაშიც გაითქვა და ალექს ფერგიუსონმა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო სერი, თვალი დაადგა. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე სტამმა და მთლიანად ჰოლანდიის ნაკრებმა კარგად ითამაშეს და „მანჩესტერ იუნაიტედმა" სტამში 11 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

თუმცა სტამს „მანჩესტერში" პრობლემები შეექმნა. დროთა გამავლობაში მასსა და ფერგიუსონს შორის ურთიერთობა გაფუჭდა და როცა სტამმა ავტობიოგრაფიაში მანჩესტერული სამზარეულო გამოაშკარავა, ფერგიუსონმა ის სასწრაფოდ „ლაციოში" გაყიდა. ამის მერე იყო, სტამმა რომ დაიჩივლა, ძროხასავით გამყიდაო. ისე კი, სტამის მანჩესტერულ კარიერაში ერთი დიდი ნათელი წერტილი მაინც იყო — 1999 წლის ლეგენდარულ ფინალში მოგებული ჩემპიონთა თასი.

სტამის იტალიური კარიერაც ვერ აეწყო — გეხსომებათ, ნანდროლონის სკანდალში გაეხვია და დისკვალიფიცირებული იყო.

მომდევნო სეზონში იაპ სტამი „მილანში" ითამაშებს, რომელთანაც ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, „ლაციომ" კი სანაცვლოდ 10,5 მილიონი ევრო მიიღო.



არიენ რობენი

მამიკოს ბიჭი

ძნელად რომ მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე ტალანტები არ აღმოაჩინონ და მერე კლუბებმა მათზე ტაციაობა არ დაიწყონ. ვინძლო, ამ ჩემპიონატზეც ეგრე იყოს. მაგრამ ჰოლანდიის ნაკრებში ერთი ფეხბურთელი გვეგულება, უკვე რომ დაიგულა დიდმა კლუბმა. 20 წლის გარემარბ არიენ რობენზე მოგახსენებთ, რომელიც „ჩელსიმ" ზამთარშივე დაიბევა.

ახლა ძნელი სათქმელია, გახდება თუ ვერა რობენი „ჩელსის" სასტარტო შემადგენლობის მოთამაშე, მაგრამ იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ ეს დიდწილად იქნება დამოკიდებული პორტუგალიაში მის თამაშზე.

რობენს მუდამ ვილაც დიდი ეპატიჟებოდა. 16 წლისამ „გრონინგემში" რომ დაიწყო კარიერა, უკვე მომდევნო სეზონში „აიაქსი" და პსვ ეცილებოდნენ ერთმანეთს. აქ ერთი ძალიან საინტერესო რამ მოხდა. რობენი „აიაქსის" შეთავაზებას დაიანსხმდა და მზად იყო, კონტრაქტზე ხელიც მოეწერა, მაგრამ როცა გამზადებული კონტრაქტი აახლეს, აღმოჩნდა, რომ მისი გვარი არასწორად დაეწერათ. მამამისმა ეს იუკადრისა, გვარს ვერ წერენ სწორად და მის ინტერესებს როგორ დაიცავენო. ჰოდა, რობენი პსვ-ში გადავიდა, რომელმაც დაუყოვნებლივ უკან „გრონინგემში" გააბრუნა იჯარით.

ორი სეზონის მერე რობენს „ჩელსიმ" და „მანჩესტერმა" დაადგეს თვალი. მამა რობენი აქაც ჩაერია საქმეში და თქვა, მირჩევნია, ჩემი შვილი რომელიმე უსახელო გუნდის სათადარიგოთა სკამს ვერ გასცდეს, ვინემ „ჩელსიში" გავუშვაო. მაგრამ ამ ჯერზე მამა რობენს არ გაუმართლა და შვილი მანჩესტერელი ვერ გახდა — აბრამოვიჩმა პსვ-ს 20 მილიონი ევრო შესთავაზა, რისი გადამხდელიც „მანჩესტერი" არ იყო.

პატარა სოფელ ბედუმში დაბადებული ბიჭის მოკლე ისტორია ასეთია. დანარჩენს დრო აჩვენებს, ამბობენ, მართლა ძალიან მაგარიაო.

ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი: ვიცნობთ და გვიცნობენ

— საუკეთესო ფორმაში ვარ. „არსენალში" მაინცდამაინც წარმატებული სეზონი არ მქონდა, მაგრამ „ბარსელონაში" გადასვლის მერე ბოლომდე გავიხსენი. თანაც, „ბარსაში" ბევრი ჰოლანდიელი თამაშობს, ისინი, ვისთან ერთადაც ნაკრებშიც მომიწევს თამაში და შესაბამისად, შეთამაშებისთვის ბარსელონური გამოცდილება ყველას გამოგვადგება.

— ნაკრები უფრო დაცვით ფეხბურთს თამაშობს და მე უკან, სიღრმეში ვიქნები დაწეული. მაგრამ შეტევებში ჩართვაც შემიძლია, რაც ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია.

— ჰოლანდიის ნაკრები ძალიან ძლიერია. გარწმუნებთ, ჩვენ პორტუგალიაში დროის გასატარებლად ან მოვალეობის მოხდის მიზნით კი არა, ჩემპიონობის მოსაპოვებლად მივდივართ.

— ამბობენ, ჰოლანდიური ფეხბურთი ლამაზი არ არისო. სამაგიეროდ, ის ყოველთვის ეფექტურია.

— უცნაური და სამწუხაროა, რომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი, ჰოლანდია, გერმანია ან ჩეხეთი ჯგუფიდან ვერ გავა. დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენ არ ვიქნებით.

— გერმანიასაც და ჩეხეთსაც ძალიან კარგად ვიცნობთ, ამიტომ მათგან რაიმე სიურპრიზებს არ ველოდებით. ეს ჩვენთვის კარგია. ისინიც გვიცნობენ? კი, ასეა, მაგრამ ჩვენ ისეთი ვარსკვლავები გვყავს, ტაქტიკის ხშირი შეცვლა და მეტოქეებისთვის თავგზის აბნევა არ გაგვიჭირდება.



გზა ჰორტუგალიამდე

III შესარჩევი ჯგუფი

07.09.2002	ჰოლანდია	3:0 ბელარუსი
16.10.2002	ავსტრია	0:3 ჰოლანდია
29.03.2003	ჰოლანდია	1:1 ჩეხეთი
02.04.2003	მოლდოვა	1:2 ჰოლანდია
07.06.2003	ბელარუსი	0:2 ჰოლანდია
06.09.2003	ჰოლანდია	3:1 ავსტრია
10.09.2003	ჩეხეთი	3:1 ჰოლანდია
11.10.2003	ჰოლანდია	5:0 მოლდოვა

საბოლოო ცხრილი

ჩეხეთი	8	7	1	0	23:5	22
ჰოლანდია	8	6	1	1	20:6	19
ავსტრია	8	3	0	5	12:14	9
მოლდოვა	8	2	0	6	5:19	6
ბელარუსი	8	1	0	7	4:20	3

პლეი ოფი

15.11.2003	შოტლანდია	1:0 ჰოლანდია
19.11.2003	ჰოლანდია	6:0 შოტლანდია

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

VII ტური

ჩილე 1:1 ბრაზილია

0:1 ლუის ფაბიანო (16), 1:1 ნავია (89პ)
ჩილე: ნ. ტაპია, როხასი (ჯ. ალვარესი 46), ფუენტესი, ოლარა, რ. პერესი, მარტელი (გალაზი 46), მელენდესი, მალდონადო, მ. გონსალესი (მირო-შევიჩი 56), დ. პიზარო, ნავია
ბრაზილია: დიდა, კაფუ, ჟუანი, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, ჟუნინიო პერნამბუკანო, ედმილსონი, ედუ, კაკა (ჟულიო ბაპტისტა 72), რონალდო, ლუის ფაბიანო
მსაჯი: ჰორაციო ელიზონდო (არგენტინა)
65 000 მაყურებელი

ჩილემ საეჭვო პენალტით გაათანაბრა მატჩში, რომელშიც ბრაზილია ასევე საეჭვო გოლით დაწინაურდა. საბოლოოდ ფრე გამოვიდა, რამაც პენტაკამპეონებს ცხრილში პირველი, ჩილელებს კი მესამე ადგილი შეუნარჩუნა.

მასპინძელთა თავდამსხმელმა რეინალდო ნავიამ თერთმეტი მეტრიდან ზუსტი დარტყმით გაუტანა დიდას, თუმც სატელევიზიო გამეორებისას გამოჩნდა, რომ პენალტი არ უნდა დანიშნულიყო.

რონალდინიოს ნაცვლად გამოძახებულმა ლუის ფაბიანომ პირველივე ტაიმში გახსნა ანგარიში და ეს მისი პირველი სანაკრებო გოლი იყო შესარჩევ მატჩებში.

ბრაზილიელთა ერთადერთმა არაევროპელმა თავდამსხმელმა ნელსონ ტაპიას კაკას პასით გაუტანა.

აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტი არგენტინელმა მსაჯმა ჰორაციო ელიზონდომ დანიშნა და აქვე გავიხსენოთ — რამდენიმე დღის წინ ბრაზილიამ არგენტინას რონალდოს სამი თერთმეტმეტრიანით სძლია.

„წესის დარღვევა არ ყოფილა“— თქვა რობერტო კარლოსმა, რომელმაც მოწმედ მეტოქის რამდენიმე ფეხბურთელი მოიყვანა.

მეორე წუთზევე ნავიას შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა.

მასპინძლები პენალტის ნიშნულისკენ მიუთითებდნენ ელიზონდოს, როცა მომდევნო შეტევისას, მათი აზრით, რობერტო კარლოსმა ხელით ითამაშა.

ლუის ფაბიანოს გოლიდან რამდენიმე წუთში დიდამ ჩილელთა ორი დარტყმა მოიგერია.

აქეთ-იქით საეჭვო ვაი და უი ურუგვაის

ბრაზილიელი ლუის ფაბიანო პირველი სანაკრებო გოლით ხარობს

კაფუს და ჟუნინიოს გასროლილი ბურთები კი ტაპიას კარს ოდნავ ასცდა. აღსანიშნავია, რომ არგენტინის კარში სამი გოლის გამტანი რონალდო მკრთალი იყო.

ჩილე უტევდა მეორე ტაიმშიც, თუმც ბრაზილიელებს უკეთესი საგოლე მომენტები ჰქონდათ. ტაპიამ ჯერ ჟუნინიოს, შემდეგ კი ჟულიო ბაპტისტას არ გააატანინა.

ბოლოს მასპინძელ პატრისიო გალაზს უნდა გაეტანა ახლოდან, თუმც თავურით უხეიროდ დაარტყა.

კოლუმბია 5:0 ურუგვაი

1:0 პაჩეკო (18), 2:0 მორენო (20), 3:0 პაჩეკო (32), 4:0 რესტრეპო (81), 5:0 ერერა (86)
კოლუმბია: კალერო, პალასიო, პერეა, იეპესი, ბედოია, ხ. რამირესი, რესტრეპო, ოვიედო (ფ. ვარგასი 74), პაჩეკო (დ. ჰერეირა 84), ტ. მორენო (არიაგა 74), ს. ერერა
ურუგვაი: მუნუა, კ. გონსალესი, ლემბო, დე სოუზა (ლაგო 64), ა. რომერო (გ. დე ლოს სანტოსი 46), მ. რომერო, პაბლო გარსია, ხ. დელგადო, ო. კანობიო (ფორლანი 46), რეკობა, ჩევანტონი
მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)
20 000 მაყურებელი

კოლუმბიამ ურუგვაის შესარჩევ მატჩებში ზედიზედ მესამე მარცხი აგემა და ცხრილის ბოლო ადგილი ბოლივიას დაუტოვა. შეხვედრის დაწყებიდან ნახევარ საათში მასპინძლები სამბურთიანი სხვაობით იგებდნენ. ნაკრებში პირველად გამოძახებულმა ვიქტორ პაჩეკომ დუბლი შეასრულა, ხოლო ტრესორ მორენომ მესამე მიამატა. ჯონ რესტრეპომ კი მეტოქის მცველებში გაისეირნა და მეოთხედ დაამწუხრა სტუმარი, ურგვაელთა რბევა სერხიო ერერამ დაასრულა.

ამ გამარჯვებით კოლუმბიელებმა ურუგვაელებს ცხრილში გადაასწრეს და თავზე წამოაჯდნენ.

წინა ტურში ეკვადორთან 1:2 მარცხის შემდეგ კოლუმბიელთა მწვრთნელმა რეინალდო რუედამ ხუთი ფეხბურთელი შეცვალა და შედეგიც მოიმკო. ურუგვაის ახალდანიშნულმა თავკაცმა ხორხე ფოსატიმ კი პირველ ივნისს შინ პერუსთან 1:3 წააგო და ძირითადი შემადგენლობაც საგრძნობლად გადაახალისა, მაგრამ ამ ცვლილებით უარესი დაემართა.

მექსიკის „ატლანტეს“ ფეხბურთელმა ვიქტორ პაჩეკომ მეთვრამეტე წუთზე მეტოქის მცველთა დოყლაპიობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მერე კი ხერარდო ბედოიას პასით მეორედაც იხეირა.

მეორე ტაიმში სტუმართა შემადგენლობაში ოსვალდო კანობიოს ნაცვლად დიეგო ფორლანი შევიდა. ხავიერ ჩევანტონი იშვიათი შეტევისას მეკარეს გასცდა და კარშიც დაარტყა, მაგრამ ბურთი მცველმა მარიო იეპესმა გამოიტანა.

თავის მხრივ, ერერაც აწუხებდა სტუმრებს. მისი ორი დარტყმულიდან ერთი ძელს მოხვდა, მეორედ კი გუსტავო მუნუამ მოიგერია.

ჯონ რესტრეპომ შესანიშნავი გოლი გაიტანა. მოედნის ცენტრიდან დაიწყო, საჯარიმოში შეიჭრა, მეკარეც ჩამოიცილა და სტუმრები მეოთხედ დაამწუხრა, ხოლო სერხიო ერერამ მეტოქე კონტრშეტევისას გამოიჭირა და გატანა არ გასჭირვებია.

არგენტინა 0:0 პარაგვაი

არგენტინა: აბონდანსიერი, რ. აიალა, სამუელი, ჰაინცე, სორინი, ლუის გონსალესი (მ. როსალესი 69), მასკერანო, კილი გონსალესი, სავიოლა, კრესპო, ტევესი
პარაგვაი: ვილიარი, კანისა, ხ. კასერესი, გამარა, პ. და სილვა, გავილანი (სარაბია 90), ორტისი, ტოლედო (ე. გონსალესი 64), ენსისო, სანტა კრუზი, ხ. კარდოზო (ს. რამირესი 84)
გაძევება: ორტისი (61)
მსაჯი: კარლოს სიმონი (ბრაზილია)
30 000 მაყურებელი

არგენტინამ ათკაცა პარაგვაის ვერ მოუგო და ბრაზილიის გადასწრების შანსი ხელიდან გაუშვა. მარსელო ბიელსამ ძირითად შემადგენლობაში, ფაქტობრივად, ოთხი ფორვარდი გაამწესა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან 15 წუთში ანხელ ორტისის გაძევებამაც კი ვერ უშველა არგენტინელებს.

„თეთრ-ლურჯთა“ გულშემატკივრებს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე გუნდის უსახური გამოსვლის შემდეგ მარსელო ბიელსას ცოდნა-გამოცდილებისა არ სჯეროდათ და მის მოხსნასაც ითხოვდნენ, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ ნაკრების თავკაცს ნდობა გამოუცხადა.

„რიველ პლეიტის“ „მონუმენტალის“ სტადიონზე ბიელსას საკმაოდ უსტვინეს, მაგრამ გუნდს ამით არაფერი ეშველა.

ერნან კრესპომ და ხავიერ სავიოლამ ეროვნული ნაკრების მაისურით ძირითად თერთმეტეულში ბიესას ხელქვეით პირველად ითამაშეს, ხოლო კარში პაბლო კავალიეროს ნაცვლად რობერტო აბონდანსიერი იდგა.

აღსანიშნავია, რომ არგენტინელებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში პარაგვაი შინ 1973 წლის შემდეგ არ დაუმარცხებიათ და ვერც ახლა სძლიეს.

ანგარიშის გახსნა კარლოს ტევეს შეეძლო, მაგრამ მეკარე ხუსტო ვილიარიმ აჯობა, ისევე როგორც სავიოლას ძალიან ტაიმში.

პარაგვაელთა მეკარემ გონსალესს კიდევ ერთხელ, ხოლო კრესპოს მატჩის მიწურულს არ გაატანინა.

„მეტოქემ დაცვაში შესანიშნავად ითამაშა და საშუალება არ მოგვცა, კონტრშეტევებით გვეხეირა, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრშიც და ფლანგებზეც აქტიურად ვმოქმედებდით“ — თქვა ბიელსამ, ხოლო კარლოს ტევესმა აღნიშნა: „მომენტები ვერ გამოვიყენეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, შესვენების შემდეგ პარაგვაიმ დაცვაში იყოჩაღა. არადა, შინ მოგება გვმართებდა“.

პარაგვაელთა თავკაცმა ანიბალ რუისმა განაცხადა: „არგენტინას დიდებული ფეხბურთელები ჰყავს. ამიტომ ჩავსხედით დაცვაში და არ გავრისკეთ“.

პერუ 0:0 ვენესუელა

პერუ: ო. იბანიესი, ხ. სოტო, რებოსიო, აკასიეტე, მ. იდალგო (ვილკეესი 67), ხაიო, ზეგარა, სოლანო, პალასიოსი (ორეხუელა 67), ფარფანი, ა. მენდოსა (რობერტო სილვა 79)
ვენესუელა: ანგელუჩი, ვალენილია, ჩიკერო, ხ. რეი, ხონაი ერნანდესი, მ. მეა ვიტალი, ლ. ხიმენესი, ურდანეტა (მარჯოტა 79), პაესი (ე. გონსალესი 66), არანგო, რონდონი (მორანი 61)
მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)
45 000 მაყურებელი

ლიმაში ვენესუელა მასპინძლებს უგოლოდ დაუზავდა და ჯგუფში მეექვსე ადგილი მოიხელთა. სტუმრები ქულას რომ ეღირსნენ, მეკარის, ჟილბერტო ანგელუჩის დამსახურებაა.

„ყველაფერი ვიღონეთ მოსაგებად, თუმც ამაოდ — თქვა პერუელთა დაღონებულმა მწვრთნელმა პულო აუტუორიმ — პირველ ტაიმში ვცადეთ, ფორვარდთა სისწრაფე გამოგვეყენებინა, რამაც არ გაამართლა, ხოლო შესვენების შემდეგ გრძელი პასებით გვსურდა ფონს გასვლა“.

ვაჟა ხუციშვილი

ბრაზილია	7	3	4	0	11:7	13
არგენტინა	7	3	3	1	11:6	12
ჩილე	7	3	2	2	9:7	11
პარაგვაი	7	3	2	2	9:8	11
ეკვადორი	7	3	1	3	8:7	10
ვენესუელა	7	3	1	3	6:7	10
პერუ	7	2	3	2	9:7	9
კოლუმბია	7	2	1	4	10:10	7
ურუგვაი	7	2	1	4	12:19	7
ბოლივია	7	2	0	6	9:16	6

პარაგვაელთა დაცვა ვერც კარლოს ტევესმა დაჯაბნა



ურუგვაელთა მწვრთნელმა ხორხე ფოსატიმ ნამატჩევს თვალი ვერავის გაუსწორა

სარგებელი: კროკო

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

12 ივნისი

21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12

13 ივნისი

21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64

14 ივნისი

21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57

15 ივნისი

21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76

16 ივნისი

21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08

17 ივნისი

21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07

18 ივნისი

21.00	013	ბულგარეთი-დანია	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.45	014	იტალია-შვედეთი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88

19 ივნისი

21.00	015	ლატვია-გერმანია	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

20 ივნისი

23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

21 ივნისი

23.45	019	ხორვატია-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
23.45	020	შვეიცარია-საფრანგეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02

22 ივნისი

23.45	021	იტალია-ბულგარეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.45	022	დანია-შვედეთი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39

23 ივნისი

23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.ბავა	6401 ჯგ.ვერ.ბავა
საფრანგეთი	4,5	2,2	1,75	1,15	4,0
იტალია	4,5	2,2	1,65	1,12	4,4
პორტუგალია	6,0	3,0	2,1	1,2	3,5
ესპანეთი	6,0	3,0	2,1	1,25	3,1
ინგლისი	6,0	3,0	2,5	1,3	2,8
ჰოლანდია	8,0	4,0	2,5	1,3	2,8
ჩეხეთი	12,0	6,0	2,8	1,5	2,2
გერმანია	15,0	7,0	3,1	1,55	2,1
შვედეთი	25,0	12,0	4,5	1,9	1,7
დანია	30,0	13,0	4,6	1,95	1,65
რუსეთი	50,0	25,0	8,0	3,2	1,23
ხორვატია	50,0	20,0	8,0	2,9	1,27
ბულგარეთი	50,0	25,0	7,5	2,9	1,27
საბერძნეთი	75,0	35,0	8,0	3,8	1,16
შვეიცარია	75,0	35,0	12,0	3,8	1,16
ლატვია	200,0	75,0	30,0	8,0	1,02

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

შესაძლო
ცვლილებები
ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. V ტური						
		9 ივნისი						
01.00	109	რეიკიავიკი-აკრანესი	2,3	3,0	2,9	1,3	1,28	1,47
		ირლანდია. პრემიერლიგა. XV ტური						
		8 ივნისი						
23.30	112	უოტერფორდი-შემროკი	2,15	3,1	3,1	1,26	1,26	1,55
23.45	113	დერი-დუბლინი	2,15	3,1	3,1	1,26	1,26	1,55
23.45	114	სტ.პატრიკსი-ლონგფორდი	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
23.45	115	შელბურნი-კორკი	1,7	3,2	4,6	1,11	1,24	1,88
		ჩილე. აპერტურა						
		8 ივნისი						
05.30	211	ტემუკო-კობრელოა	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
05.30	212	უნ.ესპანიოლა-უონდერერსი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
		9 ივნისი						
04.00	213	უაჩიპატო-კოლო კოლო	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
		ევრო 2004						
		12 ივნისი						
21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
		13 ივნისი						
21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64
		14 ივნისი						
21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ევროპის ჩემპიონატი (21 წლამდე)						
		8 ივნისი						
21.15	261	შვედეთი(21)-პორტუგალია(21)	2,5	3,0	2,5	1,36	1,21	1,36
23.45	262	სერბია(21)-იტალია(21)	4,4	3,3	1,7	1,88	1,22	1,12

ეროვნული ბანკი

ფორმულა 1. კანადა. 12 ივნისი (17.00)

8001 გამარჯვებული	ექვსეული	8301 უსწრ. ორე
მ.შუმახერი ---------- 1,4	1,06 ---------- 1,03	1,45
ბარიჩელო ---------- 7,0	1,7 ---------- 1,1	5,0
მონტოია ---------- 8,0	1,8 ---------- 1,15	5,0
რ.შუმახერი ---------- 18,0	4,0 ---------- 1,25	12,0
კულტჰარდი ---------- 40,0	9,0 ---------- 1,5	25,0
რაიკონენი ---------- 25,0	6,0 ---------- 1,35	15,0
ტრული ---------- 12,0	3,0 ---------- 1,2	9,0
ალონსო ---------- 11,0	2,4 ---------- 1,15	7,0
ბატონი ---------- 6,0	1,6 ---------- 1,1	5,0
სატო ---------- 25,0	5,0 ---------- 1,25	15,0
ფიზიკელა ---------- 100,0	25,0 ---------- 3,5	40,0
მასა ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
უებერი ---------- 100,0	25,0 ---------- 3,5	40,0
კლიენი ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
და მატა ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
პანისი ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
ჰაიდფელდი ---------- 250,0	50,0 ---------- 7,0	75,0
პანტანო ---------- 300,0	50,0 ---------- 7,0	75,0
ბრუნი ---------- 500,0	100,0 ---------- 12,0	100,0
ბაუმგარტნერი ---------- 500,0	100,0 ---------- 12,0	100,0

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

როლან გაროსი. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 13 263 280 €

ესე იგი, ჰალალია

გაუდიომ პარიზში გილერმო არ დააბრუნა

კაცების ფინალი

გასტონ გაუდიო (არგენტინა) — გილერმო კორია (3, არგენტინა) 0:6, 3:6, 6:4, 6:1, 8:6

გილერმო კორია წლევანდელ როლანგაროსობაზე ისე ჩავიდა, ბოლო წლის განმავლობაში ნათამაშები 32 მატჩიდან თიხნარზე მხოლოდ ერთხელ ძლეულიყო. საფრანგეთის შარშანდელი ღია პირველობის შემდეგ, რომლის ნახევარფინალშიც მან ოყრაყ მარტინ ფერკერკთან წაიბორძიკა, ფეხმარდ გაუჩოს ამ საფარზე ბადალი არ ჰყავდა.

რომ არა ჰამბურგულ ფინალში ამქრის პირველოსან როჯერ ფედერერთან მარცხი, მის საამროლანგაროსო ამბიციებს საერთოდაც ვერაფერი შეამღვრევდა. თუმცა გილერმო ამის მიუხედავადაც ტურნირის ყველაზე სავარაუდო ფავორიტად ჩანდა — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც როჯერ ფედერერმა მეორე წრეშივე ჩაიფლავა, ხოლო თავად კორიამ მეოთხედფინალში კარლოს მოიას გადაურბინა.

რაღაც ეჭვები ეგებ მხოლოდ ტიმ ჰენმანისა და მისი სანახევარფინალო შეხლის პირველ სეტნახევარს აღეძრა, რომლის განმავლობაშიც დახვეწილმა კუნძულელმა ამ ორ კვირაში ვერვისგან ნაჩვენები უმაღალხარისხოვნესი, მოაწოდე-მიეძალე ყაიდის ბარაქიანი ჩოგნაობა გვანახა. მაგრამ ეგ იყო და ეგ — ბრიტმა ასევე ზღაპრულად გაგრძელების ილაჯი ველარ მოიძია, კორიამ კი სადავეები ხელთ იპყრო და თავისი შეუპოვარი, გულდაგული გლაჯუნით საქმე ბოლომდე მიიყვანა.

საქმეში ჩახედულთა აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ფინალში კორიას ამის ნახევარი ოფლის დაღვრაც არ დასჭირდებოდა. და — რომ არა საფინალო განდაგანის მეოთხე სეტში დაწყებული კრუნჩხვები — ჰაი-ჰაი, რომ ყველაფერი სწორედ ასე უნდა მომხდარიყო.

მაგრამ კორიას უეცრად შეჭირვებულმა მარცხენა ფეხმა ყველანაირი დავთარი არია. ფეხმტკივანმა გილერმომ იძულებით შეცდომებს უმატა, ამან კი მას თავდაჯერება გაუბზარა და რამდენიმე წუთში მოსამთავრებელი ტრიუმფი მინიკატასტროფად გადაუქცია.

მხოლოდ გაუდიოს საშუალო საჩოგბურთო უნარებსა და კორიას მტკიცე ხასიათს უნდა მიეწეროს ის, რომ მეხუთე სეტში ბრძოლამ თოთხმეტ გეიმს გასტანა. ყველაფერი კი მაშინ გადაწყდა, როცა სეტის მიწურულს კორიამ ორი მატჩბურთის კარიერის პირველ სლემტიტულად გარდასახვა ვერ შეძლო.

ლეგენდარული გილერმო ვილასის დანაბარები, ვინაც პარიზულ სეფეჯილდოს არგენტინელთაგან ბოლოჯერ, 1977 წელს შესწვდენია, არა მისი ხათრით სახელდარქმეულ ბიჭს, არამედ სხვას, თუმცა — ცხადია — მისსავე მაგალითით გაზრდილ კაცს ერგო.

ერგო და — ესე იგი, ჰალალიც ყოფილა!

REUTERS პარი ზიდან

გამარჯვებულებსაც ასამართლებენ

ჩემპიონი დაპითხვაზე

— როგორ ფიქრობთ, ეს ასი პროცენტით თქვენი მოგება იყო, თუ გილერმოს ტრავმა დაგეხმარათ?

— ცხადია, თუკი დაშავებულ კაცს ეთამაშები, ეს ყოველთვის გეხმარება. მაგრამ ეს მეოთხე სეტში მოხდა. მეხუთეში კი ის კვლავ ისე დარბოდა, როგორც მატჩის დასაწყისში. ამგვარად, რასაკვირველია, მისი ტრავმა დამეხმარა, რაკიღა იმ მომენტისთვის თითქმის უკვე მოთავებული ვიყავი. მაგრამ მეხუთეში ყველაფერი თავიდან დაიწყო.

— და მაინც, იმან, რაც დღეს მოხდა, ხომ არ დაგაფიქრათ კიდევ ერთხელ იმაზე, რომ ცხოვრება ყოველთვის სამართლიანი არ არის?

— რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ მეტოქეს მატჩის მსვლელობისას ასეთი რამის გადატანა მოუხდა?

— ეს ისეთი თამაშია, სადაც სირბილი გიწევს, სადაც კარგად უნდა იყო მომზადებული.

— როგორ შეძლო თქვენნაირმა მეჩოგნემ, რომელსაც შარშან და შარშანწინ დიდი არაფერი უჩვენებია, სლემტურნირებზე მაინცდამაინც შორს ვერ წასულა, აქ ჩამოსულიყო და ორ კვირაში ასეთი სასწაული მოეხდინა?

— ახლა ამის ახსნა არ შემიძლია, ფინალი ხომ ეს-ესაა, დამთავრდა. არ ვიცი, რა გითხრათ — წინა წლებთან შედარებით ჩემს თამაშში თითქოს განსაკუთრებული არაფერი შემიცვლია. ასე რომ, ვერაფერს აგიხსნით. ერთადერთი, რაც ახლა ნაღდად ვიცი, ის არის, რომ მოვიგე.

— გჯეროდათ თუ არა ოდესმე ან ეს ამ წელს ხომ არ ირწმუნეთ, რომ სლემტურნირის მოგება შეგეძლოთ?

— აქამდე ამაზე არასოდეს მიფიქრია. დღეს ბოლო გათამაშებამდეც კი არ მომსვლია ისეთი აზრი, რომ სლემტიტულის მოხვეჭა შემეძლო. მართალია, მენტალურად წლეულს მართლაც უკეთ მოვემზადე, მაგრამ რაც მოხდა, ამას ვერც კი წარმოვიდგენდი.

— მესამე სეტში ტრიბუნებმა საოცრად დაგიჭირეს მხარი, ამანაც ხომ არ იმოქმედა?

— ჰო, ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ძალიან ვნერვიულობდი. ქომაგთა მხარდაჭერამ კი ცოტა დამამშვიდა. შევეცადე, მომენტით დავმტკბარიყავი და აღარ მენერვიულა. ამან მართლაც გასჭრა.

— ბოლო სეტში კი ერთი-ორჯერ გაგეცინათ კიდეც. რაზე ფიქრობდით მაშინ?

— მეცინებოდა იმის გამო, რომ რაღაც დაუჯერებელ მდგომარეობაში ვიყავი. თითქოს ფილმივით იყო.

— რას ნიშნავს ეს მოგება თქვენთვის?

— ყველაფერს. ამაზე ხომ ჰატარა ბიჭობიდან ვოცნებობდი — აქ თამაშსა და ტურნირის მოგებაზე! თავი ახლა მართლაც სიზმარში მგონია.

— რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა ჯილდო თქვენმა კერპმა, გილერმო ვილასმა გადმოგცათ?

— ეს სწორედ ის იყო, რაზეც ყველახე ხშირად მიოცნებია. მე ხომ აქ უმთავრესად სწორედ მის გამო აღმოვჩნდი, მისი გამარჯვების დროს ოცნების გამო!

— ადრე გითქვამთ, ჩოგბურთს ძალიან ბევრი რამ შევწირეო...

— ყველაზე დიდი მსხვერპლი, რასაც ყველა მეჩოგნე გასცემს, ისაა, რომ დროის უდიდესი ნაწილის გატარება მოგზაურობაში, ოჯახისა და მეგობრებისგან დაცილებულს უწევს. თუკი ბევრს ვერ იგებ, მაშინ სამოგზაუროდ ფულიც არა გაქვს და ამისთვის ჩალიჩი ვიხდება.

— წელან ოჯახი ახსენეთ...

— ყველაფერი, რაც გამიკეთებია, მამაჩემის დამსახურებაა. მან იმდენი იშრომა ჩემთვის, ჩემი ძმებისთვის და დებისთვის. ასე რომ, მინდა, ეს გამარჯვება სწორედ მას მივუძღვნა, მან ეს ნაღდად დაიმსახურა.

— ორი დღის წინ თქვენ თქვით, რომ ნალბანდიანი და კორია „გალაქტიკოსები“ არიან, ხოლო თქვენ „ვალენსია“ ხართ, რომელიც ლიგას იგებს?

— ჰო, ტყუილს მე არასოდეს ვამბობ.

— გუსტავო კუერტენმა ჯერ კიდევ ბუენოს აირესში თქვა, რომ თქვენ როლანგაროსობის პოტენციური მომგები ხართ. ამაზე მასთან ხომ არ გილაპარაკიათ?

— გუგა და მე კარგი მეგობრები ვართ. მე მას ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი, როგორც საუცხოო ადამიანს.

— ეს ალბათ თქვენი კარიერის გარდამტეხი მომენტია?

— მჯერა, რომ ჩემს ცხოვრებაში მართლაც ბევრი რამ უნდა შეიცვალოს, მაგრამ სახელდობრ რა, ეს ჯერ არ ვიცი.

— არგენტინელებს აქ მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს ველარ მოეგოთ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თქვენ უკვე ლეგენდარული მეჩოგნე ხართ?

— ჩემი და ვილასის შედარება არ შეიძლება. მას ბევრი ტიტული ჰქონდა მოგებული და ჩვენგან მას ვერავინ დაეწევა. მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა არგენტინელებს სიხარული და ბედნიერება მოვუტანოთ.

— ფიქრობთ თუ არა ახლა მარადონაზე?

— მე ვფიქრობ ყველაზე, ვისაც ჩვენი წარმატება გაუხარდება, ცხადია, მარადონაზეც. იმედია, რომ დადებით ემოციებს ეს მატჩი მასაც აღუძრავდა.

— არგენტინელებს კიდევ 27 წელი ხომ არ მოუწევთ ცდა, სანამ რომელიმე მათი მეჩოგნე ისევ შეძლებდეს აქ გამარჯვებას?

— არა, მგონია, ამდენი ხანი ლოდინი დაგვჭირდეს, გილერმოს (კორია) და დავიდს (ნალბანდიანი) ყველაფერი აქვთ, რაც აქ მოსაგებად არის საჭირო, მათ შორის — დროც, რაც მე მათზე ნაკლები დამრჩა.

გაუდიო და სლემტურნირები

REUTERS პარი ზიდან



REUTERS პარი ზიდან

ისტორიაში ეს მეექვსედ მოხდა, ფინალში პირველი ორი სეტის წამგებმა კაცმა მაინც რომ იმარჯვა. უკანასკნელი, ვინაც ამგვარი რამ შეძლო, ანდრე აგასი გახლდათ — 1999 წლის ფინალში ის რუს ანდრეი მედვედევთან მარცხდებოდა.

როგორც რომ 1962 წელს (როდ ლეივერსა და მარგარეტ სმიტ-კორტს), წლეულსაც კაცებსა და ქალებს შორის გაჩემპიონებულთ ტიტულისკენ მიმავალ გზაზე მატჩბურთების მოგერიება მოუხდათ. 1968 წლიდან ამგვარი რამ მხოლოდ ადრიანო პანატას (1976) და გუსტავო კუერტენს (2001) გამოსვლოდათ, თუმცა ამათაც მატჩბურთებისგან თავის გადარჩენა საკუთრივ ფინალში კი არა, მანამდე მოახერხეს.

გაუდიო რეიტინგსიის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი მეჩოგნეა გუსტავო კუერტენის შემდეგ, სლემტიტული რომ მოიხვეჭა. ამ ტურნირამდე ის რანგით მხოლოდ 44-ე იყო, მაშინ როცა 1997 წელს, თავის პირველ საზეო როლანგაროსობაზე ჩასული გუგა სულაც რეიტინგსიის 66-ე საფეხურზე იდგა. ისე, ამ გამარჯვებამ გაუდიო მყისვე ამქრის ზეათეულამდე აღაზევა, რაც მისი საუკეთესო მიღწევაა.

სადიდსლემო ტურნირების ისტორიაში ეს პირველად მოხდა, რაგინდარა სლემტურნირის ფინალში ერთმანეთს არგენტინელები რომ ეპაექრნენ.

როლანგაროსობა აქამდე მხოლოდ სამ განუთესავ მეჩოგნე მოეგო — ბერნარს (1946), ვილანდერსა (1982) და კუერტენს (1997).

კარიერის პირველი სლემტიტულის მოხვეჭამდე გაუდიომ სამ განთესილს აჯობა — ლეიტონ ჰიუიტს (12), დავიდ ნალბანდიანს (8) და კორიას (3).

შეგახსენებთ, რომ გილერმო კორიას იუნიორთა როლანგაროსობა მოუგია 1999 წელს. ორად-ორი მეჩოგნე, ვინაც იუნიორებში წარმატების შემდეგ დიდი როლანგაროსობაც მოიგო, ივან ლენდლი (1978 - 1986) და მატს ვილანდერი (1981 - 1982) იყვნენ.

ღია პირველობათა ეპოქაში ეს მეექვსედ მოხდა, ფინალში ერთმანეთს ორი არასლემტიტულოსანი რომ შეხვდა.

25 წლის გაუდიოსთვის ეს სეზონის პირველი, ხოლო კარიერის მესამე ტიტულია.

ის გახდა მე-20 მეჩოგნე, ვინაც კარიერის პირველი სლემტიტული სწორედ როლანგაროსობაზე იშოვა.

კორიას აქამდე ზედიზედ 18-ჯერ მოეგო თანამემამულეთათვის. ბოლოჯერ თვისტომს (ხუან იგნასიო ჩელა) მან 2002 წელს, კიცბიუელურ მეორე წრეში დაუთმო.

გაუდიო ამ ტურნირის მომგები 46-ე კაცია.

ამ მოგებისთვის მას 860 ათასი ევრო ერგო. შესადარებლად — ხუან კარლოს ფერერომ შარშან შინ 840 ათასი წაიღო.

ლეიკერსი 0:1 დეტროიტი

6 ივნისი. ლოს ანჯელესი. სტეიპლზ სენთერი. 18997 მაყურებელი

The Finals

თვალში ხომ არ გეპატარავებიან? შაკს შარი მოსდეს



REUTERS ლოს ანჯელესიდან

რაშიდ ვოლესის „დეტროიტი“ შაკილ ონილის „ლეიკერსზე“ აღზევდა

ლეიკერსი 75:87 დეტროიტი

19:22 22:18 17:24 17:23

ლეიკერსი: პეიტონი (3), ბრაიანტი (25), ჯორჯი (5), მელოუნი (4 ქულა, 11 მოხსნა), ონილი (34 ქულა, 11 მოხსნა); ფიშერი (2), მედვედენკო (2), რაში, ფოქსი

დეტროიტი: ბილაფსი (22), ჰამილტონი (12), პრინსი (11), რ. ვოლესი (14), ბ. ვოლესი (9); უილიამსონი (7), კემბელი (6), ჰანტერი (5), ოქური (1), ჰემი, ჯეიმსი

დასაწყისი საინტერესო ფინალს გვიქადის. „დეტროიტ პისტონზმა“ 19 ათასი ლოსანჯელესელს თვალწინ დაუმარცხა „ლეიკერსი“ და სერიოზული განაცხადი გააკეთა — მხოლოდ ფინალის მონაწილე კი არა, ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტი ვარ და ფავორიტი დასავლელისთვის წინააღმდეგობის გაწევაზე და მასთან ღირსეულად დამარცხებაზე მეტი მინდა და შემიძლიაო.

დასავლელებს მგონი, დაავიწყდათ კიდეც, რომ კალათბურთს აღმოსავლეთშიც თამაშობენ, ბოლო ხუთი ფინალი მოიგეს და... „დეტროიტიც“ გამოჩნდა.

ერთი მარცხით „ლეიკერსს“ ვერ დააშინებ და საბოლოო გამარჯვებაზეც ახლა მხოლოდ სულელი დაიწყებს ლაპარაკს. აკი „დეტორიტის“ მწვრთნელი ლარი ბრაუნიც შფოთავს, მთავარია, ამ გამარჯვებამ არ გვაგვაზულუქოსო. მაგრამ ყველა შიშის მიუხედავად, ლოს ანჯელესში 12-ქულიანი გამარჯვება დასაწყისისთვის ურიგო ნაღდად არაა.

„ლეიკერსი“ ბოლო წლებში ასეთ კერკეტ აღმოსავლელს არ გადაყრია. კი, ბატონო, „დეტროიტს“ არა ჰყავს კობი ბრაიანტის დარი ვირტუოზი, ანაც შაკილ ონილივით ბულდოზერი, შეტევაშიც თითქმის ქოტურად ირჯება, მაგრამ სამაგიეროდ, რა დაცვა აქვს, ბიჭო! „ლეიკერსს“ ალბათ ასე არასდროს გასძნელებია მეტოქისთვის ბურთის ჩაგდება. შაკილ ონილს თავი დავანებოთ. ამ არაადამიანმა 20 ქულაზე ნაკლები რომ ჩაგდოს, მინიმუმ სამკაციანი პირადი დაცვა სჭირდება. ახლაც 34 ქულა მოინაგრა, მაგრამ მის გარდა ყველა სხვას უჭირდა შეტევაში. ბრაიანტმა 25 ქულა კი შეაგროვა, მაგრამ 27 სროლიდან 17-ის გაფუჭების ფასად (6 სამქულიანიდან ერთი ჩაგდო) და ბოლო მეოთხედშიც მხოლოდ 4 თუ 5 ქულა მაშველა თავისიანებს. სხვებს კი ხურდები ძლივს მოუგროვდათ. კარლ მელოუნმა 4 ქულით დაამთავრა შეხვედრა, გერი პეიტონმა — 3-ით და დანარჩენებიდანაც 5 ქულას ვერავინ ააცილა პირადი მონაგარი.

მატჩის გმირი კი მთლიანად „დეტროიტი“ გახლავთ. თუ მაინც გამორჩევაა, საუკეთესო ჩონსი ბილაფსია, რომელმაც ორივე ნახევარზე დიდი საქმეები აკეთა და პირადი 22-ქულიანი წილის გარდა გერი პეიტონსაც სიქა გააცალა.

ყველაფერიც აქედან დაიწყო: თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ „ლეიკერსს“ მეტოქის ნახევარზე გაუჭირდა. მასპინძელთა შეტევებს პეიტონი ვერ ალაგებდა, „დეტროიტის“ დაცვა გაუვალი იყო და მასპინძლებს, მიუხედავად იმისა, რომ გუნდში ამდენი ვარსკვლავი ჰყავთ, ქულების გროვების ერთადერთი საშუალება რჩებოდათ — ბურთი შაკილ ონილისთვის მიეწოდებინათ. შაკი, თუ ხელებს არ დაალეწავდნენ, ძირითადად აგდებდა — თამაშში 16 სროლიდან 13 ჩააგდო და საჯარიმო ხაზიდანაც არა უშავდა — 12 სროლიდან 8 გამოიყენა. მაგრამ მარტო შაკი ვერ გასწვდა ავტომატივით მომუშავე ავტოქარხნელებს.

სხვათა შორის „ლეკერსის“ მწვრთნელ ფილ ჯეკსონს ნამატჩევს მარცხის მიზეზების ახსნა რომ სთხოვეს, მან რატომღაც შაკს დაადო ხელი, მეორე ტაიმში ონილი დაიღალაო.

თავად შაკმა ამის თაობაზე მოგვიანებით დაიბუხუნა — „დიახ, დავიღალე, ოღონდ თამაშით კი არა უსაქმურობით. შეხედეთ ჩემი სროლების და ჩაგდებების პროცენტს. ყველა მიზეზი არსებობდა იმისათვის, რომ ჩემთვის ხშირად მოეცათ ბურთი, მაგრამ ზოგჯერ მთელი შეტევა ტყუილად ვიდექი და ველოდებოდი, როდის შემამჩნევდნენ ჩემები.“

„ლეიკერსს“ ალბათ უკეთ გამოუვა მეორე მატჩი. რაც უნდა იყოს, ჰოლივუდის სახეებით და უამრავი ცნობილი პერსონით გადავსებული „სტერლზ სენთერისთვის“ ზედიზედ მეორედ იმედის გაცრუება ამხელა „ლეიკერსის“ საკადრისი საქმე არაა. „დეტროიტი“ ფრთხილად უნდა იყოს და ბევრად თავისუფლად ითამაშოს — მან მხოლოდ დაჭრა ნადირი.

კოტე ყორღია

ნამატჩევს

ლარი ბრაუნი, „დეტროიტის“ მთავარი მწვრთნელი:

— უძნელესი საქმეა, „ლეიკერსს“ მხოლოდ 75 ქულა ჩაგდებინო. არც კი მგონია, რომ მომავალ მატჩებში ამაზე უკეთ დავიცავთ თავს... განსაკუთრებული მადლობა ჩონსი ბილაფსს. ის ხანდახან მაშინაც კი კარგია, როცა ქულებს ვერ აგროვებს და დღეს ხომ ბომბარდირობაც შეითავსა... ჰამილტონს ბევრი არ ჩაუგდია, მაგრამ იგი იბრძოდა და ბილაფსთან ერთად კობი ბრაიანტი და მისი თანაამპლუელები მაქსიმალურად შეზღუდა. ბილაფსი იმიტომ დავტოვე დიდხანს მოედანზე, რომ გერი პეიტონს ნაადრევი საჯარიმოები დაუგროვდა და ჩონსიმაც გაამართლა.

ბენ ვოლესი, „დეტროიტის“ ცენტრი:

— თამაშამდე თქვენთვის რომ ეთქვათ, კობი და შაკი ჯამში 60 ქულას ჩაგდებენ, „დეტროიტის“ ბომბარდირს რიპ ჰამილტონს კი ბურთი ნაცარში ჩაუვარდებაო, პირველ რიგში ხომ წაგებაზე იფიქრებდით?

— არა, სიმართლე გითხრათ, ჩვენი გუნდი ჯრც ყოფილა და არც იქნება ერთ კაცზე ჩამოკიდებული. თუ ვინმე იბრძვის, მასზე არანაკლებად ინდომებენ სხვები. ასეთ შემთხვევაში „დეტროიტი“ იგებს. ჩვენ შეგვიძლია ერთად დგომა და დღეს „ლეიკერსი ამის ხარჯზე დავამარცხეთ.

ტაიშონ პრინსი, „დეტროიტის“ ფრთა:

— დღეს თქვენ მოგიწიათ კობის მეურვეობა...

— ბრაიანტს ისეთი უცაბედი მოძრაობები აქვს, თუ ძალიან მაგრად არ ხარ მომზადებული, მისი შეჩერება შეუძლებელია. ისე შემოგირბენს, თუ თანაგუნდელმა არ დაგაზღვია, ბურთის ჩაგდებაში ხელს ვეღარ შეუშლი. ერთი უპირატესობა, რაც მის წინააღმდეგ მქონდა, ჩემი გრძელი ხელებია, რითაც კობის მიზანს ვუმრუდებდი და მან არაერთი ბურთიც ააცილა.

ფილ ჯეკსონი, „ლეიკერსის“ მთავარი მწვრთნელი:

— დეტროიტმა“ მეტად დაფიქრებულად ითამაშა. ეს იყო გუნდი, რომელსაც გათვლილი ჰქონდა თითოეული მოძრაობა და პასი, ზუსტად იცოდა, შეტევისთვის განკუთვნილ 24 წამში რა გაეკეთებინა. სტუმრების ყოველი შეტევა სიზუსტით სუპერბოულის შეტევას ჰგავდა.

კარლ მელოუნი, „ლეიკერსის“ თავდამსხმელი:

— ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ისე მგონია, რომ მოედანზე მაყურებლის როლში ვიყავი. მე ვერ დავეხმარე შაკს და საერთოდ, მას ვერც ვერავინ დაეხმარა. ძალიან კი ვცდილობდი, მაგრამ თამაშის რიტმში ვერაფრით ჩავჯექი. ეს მიუღებელია პროფესიონალისთვის.

შაკილ ონილი, „ლეიკერსის“ ცენტრი:

— მწვრთნელმა თქვა, შაკი მეორე ტაიმში დაიღალაო...

— მე დავიღალე ლოდინით. ჩვენ დღეს არ გვითამაშია, როგორც ერთ, შეკრულ გუნდს.

— ორი წლის წინაც ლარი ბრაუნის გუნდთან წაგეთ ფინალური სერიის პირველი მატჩი. ეს გარემოება ახლა ტვირთად გაწევთ?

— ესეც გვაწევს და ისიც, რომ „დეტროიტი“ მაგარი დაცვის გუნდია. თან, დეტროიტელები ძალიან აგრესიულები არიან, რაც საქმეს კიდევ უფრო გვირთულებს.

ფინალური შენიშვნები

- „ლეიკერსმა“ წლეულს პლეიოფში შინ ზედიზედ 9 გამარჯვების შემდეგ პირველად წაგო და ერთი გამარჯვება დაკლდა „იუტა ჯაზის“ 1997 წლის რეკორდამდე.
- „დეტროიტმა“ ლოს ანჯელესში 1997 წლის 19 იანვრის შემდეგ პირველად მოიგო.
- „დეტროიტმავე“ წლეულს 19 საპლეიოფო მატჩიდან 18-ში მეტოქეს 100 ქულაზე ნაკლები ჩაგდებინა.
- „დეტროიტისავე“ სათადარიგოებმა 19:4 აჯობეს „ლეიკერსის“ სამარქაფოებს.
- ბოლო 20 ფინალური სერიიდან 14 პირველი თამაშის მოგებმა გუნდებმა მოიგეს.
- ბოლო 16 წელს „პისტონზი“ და „ლეიკერსი“ ფინალში მესამედ შეიყარნენ.
- ფინალისტთა მწვრთნელები ფილ ჯეკსონი და ლარი ბრაუნი ბოლო 4 წელიწადში ერთმანეთში მეორე ფინალს თამაშობენ. 2001 წელს ჯეკსონის „ლეიკერსმა“ 4:1 მოუგო ბრაუნის „ფილადელფიას“ და მაშინაც პირველი თამაში ბრაუნის გუნდმა მოიგო.

აიზია ტომასის „დეტროიტი“ და მეჯიქ ჯონსონის „ლეიკერსი“ 1988-89 წლებში ორ ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს

ვინ დახვდება აფრიკულ ხარებს?

მალხაზ ჭეიშვილი: ჯერ მეტოქეს შევხედავთ, ნაკრებს მერე დავკომპლექტებთ

ბადრი კეთილაძის ფოტო

მალხაზ ჭეიშვილი ჯერ აფრიკელთა ვარჯიშის ნახვას აპირებს

ხვალ საღამოს თბილისს სამხრეთაფრიკული სარაგბო ჯლუბი, პრეტორიის „ბლუ ბულზი" უმასპინძლებს. ზე-12-ის ზემძლავრი წარმომადგენელი 21 ივნისამდე ქართველებთან სამ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. მათ შორის უმნიშვნელოვანესი მატჩი ჩვენს ეროვნულ ნაკრებთან „ეროვნულზე" 20 ივნისს გაიმართება. თუმც, ალბათ, არ სამხრეთაფრიკელთა საბაზო გუნდის და ჩვენს საკლუბო და „ა" ნაკრებების თამაშები იქნება უინტერესო. „ხარებთან" ბრძოლამდე ბორჯღალოსნები ერთ კვირას მცხეთაში ივარჯიშებენ. ნაკრების თავკაცები მალხაზ ჭეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი ეროვნული ნაკრების შემადგენლობის დასახელებას არ ჩქარობენ და მზადების საბოლოო გეგმის შედგენასაც აფრიკელების ჩამოსვლის შემდეგ აპირებენ

მალხაზ ჭეიშვილი:

— 14 ივნისიდან ტრადიციულად მცხეთაში შევიკრიბებით. შემადგენლობას ჯერ ვერ გეტყვით, მაგრამ გვინდა, ღირსეულ მეტოქეს ღირსეული ხალხით დავხვდეთ. შეკრებაზე სავარაუდოდ 25-მდე მორაგბეს ვუხმობთ.

— მათ სიას როდის დაასახელებთ?

— ალბათ შეკრების წინა დღეებში. მანამდე ლეგიონერთა ამბებსაც დავაზუსტებთ.

— კლუბებთან ფინანსური პრობლემების მოგვარებას გულისხმობთ?

— არა. უბრალოდ, ისეთი პერიოდია, ევროპაში ჩემპიონატები სრულდება. ზოგს კონტრაქტის საკითხი აქვს მოსაგვარებელი, ზოგიც მთლიანად ბოლო ტურის მნიშვნელოვან შეხვედრაზეა გადართული.

— „ა" ნაკრებს ვინ გაწვრთნის?

— დროებით მასაც მე და ჩავლეიშვილი ჩავიბარეთ, თუმც სამომავლოდ აუცილებლად თავისი მწვრთნელი ეყოლება.

— მაშასადამე მცხეთური შემადგენლობა ორივე ნაკრებზე განაწილდება?

— მცხეთაში მხოლოდ ძირითადის ხალხი ივარჯიშებს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, აქედან 2-3 კაცი „ა" ნაკრებსაც მივახმაროთ. ის გუნდი ძირითადად კლუბების ბაზაზე დაკომპლექტდება.

— აფრიკელებთან თამაშის გარდა ერთობლივი ვარჯიშების ჩატარებასაც ხომ არ გეგმავთ?

— ეს მშვენიერი იქნება ერთობლივ ვარჯიშებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მათ წვრთნას ყურადღებით, დავაკვირდებით. უფრო დაწვრილებით აფრიკელების ჩამოსვლის შემდეგ შევიტყობთ ყველაფერს და საბოლოო გეგმასაც მაშინ შევიმუშავებთ. ამ ეტაპზე რაც ვიცი, ისაა, რომ თავადაც მოუსურვებიათ ერთობლივი სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება.

ოთარ მაღლაკელიძე

არსი მოგზაურობისა

გეოგრაფიულმა საზოგადოებამ სამზარეულოში შეგვახედა

ბარი ბიშოპი ერთ-ერთი იყო, ვინც სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების დროშა ევერესტზე ააფრიალა (1963 წელი)

სამხრეთ კენსინგტონში, ლონდონის ცენტრალურ რაიონში ისტორიაში პირველად გაიხსნა დიდი ბრიტანეთის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების არქივი და მისი კოლექცია. იქ სხვა მრავალ დოკუმენტთან და ნივთთან ერთად შეგიძლიათ ნახოთ ბრიტანელთა ალპინიზმის პატრიარქის სერ დუგლას ფრეშფილდის მიერ კავკასიონის მწვერვალებზე მოწყობილი თავისი ექსპედიციის ამსახველი მასალები, დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე პირველამსვლელის ედმუნდ ჰილარის ჟანგბადის ბალონები, რომლებიც მაშინ ევერესტზე აიტანა... შეგიძლიათ ნახოთ ასევე ბრიტანელი ერნსტ შეკლტონის სამხრეთ პოლუსზე ლაშქრობისას გამოყენებული ნივთები. მათ შორის არის მის მიერვე „დაპროექტებული" ლოკებიანი ჩექმები, რომელიც ერთ დროს ძალზე პოპულარული იყო ალპინისტებში, რაც მისსავე სახელს ატარებს. აქვეა ტურ ჰეიერდალის, რიჩარდ ბერტონის, კრის ბონინგტონისა და საქვეყნოდ ცნობილ სხვა მოგზაურთა თუ მთამსვლელთა მოხსენებებს, რომლებითაც ისინი სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე გამოსულან.

1926 წელს იქვე ასეთივე მოხსენებით გამოვიდა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი და მთამსვლელი გიორგი ნიკოლაძე, რომელმაც საზოგადოებას უამბო მის მიერ 1923 წელს მყინვარწვერზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელთა ლაშქრობის შესახებ, რამაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას. მაშინ გეოგრაფიულ საზოგადოებაში მის მოსასმენად მივიდა 80 წელს მტანებული, მხცოვანი დუგლას ფრეშფილდი, ვინც ჩვენს მყინვარწვერზე 1867 წელს პირველი ავიდა.

ამ სამეფო საზოგადოების არქივში ალბათ ბევრი დოკუმენტი, რუკა და ფოტოც იქნება დაცული, რომლებიც კავკასიონზე ინგლისელთა მიერ მოწყობილ ექსპედიციებზე მოგვითხრობენ.

აქვე არის ჰოლანდიაში დამზადებული მსოფლიოს ორი რუკა. ერთი დათარიღებულია 1608 წლით, რომელზეც ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ ავსტრალიას, მეორე, 1648 წლის რუკაზე კი უკვე აღნიშნულია ავსტრალიის პირველადმომჩენის კაპიტან აბელ ტასმანის სახელგანთქმული მოგზაურობის მარშრუტი.

და ახლა, როცა მნახველი ათვალიერებს და ეცნობა სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების კოლექციას, ალბათ ისინი გაოცებას ვერ ფარავენ იმ აღჭურვილობისა და ინვენტარის ხილვისას, რითაც პირველადმომჩენნი და პირველდამპყრობნი გზას მიიკვლევდნენ ახალი მიწების აღმოსაჩენად, ჩრდილო და სამხრეთ პოლუსების დასაპყრობად, თვალშეუდგამ მწვერვალთა დასალაშქრად...

დიდი ბრიტანეთის გეოგრაფიული საზოგადოების ისტორია დაიწყო 1827 წლის ერთ მშვენიერ დღეს, როცა მეგობრულ სუფრაზე თავგადასავალთა მაძიებელი ჯენტლმენები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ მოგონებებს და მომავალ ლაშქრობათა გეგმებსაც ადგენდნენ. სამი წლის მერე ამ საზოგადოებამ ოფიციალური სტატუსი და სამეფო მფარველობაც მიიღო. მის დებულებაში მთავარ მიზნად ჩაიწერა „გეოგრაფიული ცოდნის განვითარება და გავრცელება".

ახლა სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების არქივში ბოლო 500 წლის განმავლობაში გეოგრაფიული აღმოჩენებისას დაგროვილი ორ მილიონზე მეტი დოკუმენტები და ნივთია თავმოყრილი. აქამდე ისინი ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო. და ეს არა მათი საიდუმლოებებით, არამედ ფინანსური პრობლემებით აიხსნებოდა.

იმისთვის, რომ ექსპონატები ღირსეულად წარმოედგინათ, საჭირო გახდა გეოგრაფიული საზოგადოების ძველი ნაგებობისთვის ახლის დამატება. პროექტი 7,1 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა. ამის სამი მეოთხედი ეროვნული ლატარეის „მემკვიდრეობის" წილად მოვიდა. 235 ათასი ფუნტი შემოვიდა კერძო შემოწირულობებიდან, რომლებიც პენ ჰედოუმ და სიმონ მიურეიმ ანტარქტიდის სანაპიროდან სამხრეთ პოლუსამდე ფეხით გავლისთვის მოაგროვეს.

„მოგზაურობის არსი მხოლოდ თვალსაწიერის გაფართოება კი არა, არამედ ცოდნის სხვათათვის გადაცემაც იყო. ჩვენი წინაპრები საკუთარ სიცოცხლეს სწირავდნენ იმისთვის, რომ რუკებზე ახალი მიწები აღენიშნათ. ვფიქრობ, რომ ისინი დღეს ჩვენით კმაყოფილნი დარჩებოდნენ" — თქვა თავადაც კმაყოფილმა პენ ჰედოუმ.

ავთანდილ ბუციშელი

REUTERS ჰამბურგიდან

ქოშაგი

გერმანელი ნობელიანტი მწერალი გიუნტერ გრასი ჰამბურგული კლუბის „ზანტ პაულის“ სტადიონს ეწვია. კლუბი წლეულს რეგიონალლიგაში ჩაქვეითდა და მისი ქოშაგი მწერალი იმ დღეს მოწყობილი საჯარო კითხვით მისდამი მხარდაჭერის გამოხატვას ეცადა.

REUTERS კიევიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალინა

ცნობილი რუსი ტანმოვარჯიშე ქალი ალინა კაბაევა ფოტოკორესპონდენტთათვის ნიადაგ სასურველი ობიექტია. მისი ჯიგრის შემღვრევი ირაო ამ ჯერზე კიევში, ევროპის ჩემპიონატზე აღუბეჭდავთ.

REUTERS სანტიაგო დე კომპოსტელადან

რაული წმინდანთან

ესპანეთის საფეხბურთო ნაკრებმა ევროჩემპიონატის წინ შემწედ ზეციურ ძალებსაც უხმო. რაული მაშინ დაუფიქსირებიათ, როცა სანტიაგო დე კომპოსტელაში სტუმრად ჩასული მფარველ წმინდანს შემოხვევია.

REUTERS ჯალვერ სიტიდან

სუმოს მადლი

გრძელდება იაპონელ სუმოისტთა დელეგაციის სტუმრობა ჰეკინში. ვიზიტის ძირითადი მიზანი ისაა, სუმოს მადლი უწინარესად ჩინელ ბიჭუკულებს აგრძნობინოს. ვინძლო, ეს საქმე გამოდის კიდეც.



REUTERS ჰეკინიდან

ნაუმეტივეს

„ლეიკერსის“ ჯომარდი მთავარმექუნე კობი ბრაიანტი თავის შხვართ ცოლ ვანესასთან ერთად იმ დღეს ემტივის დაჯილდოებათა ცერემონიალს დასწრებია. ამბავი სადღაც კალიფორნიაში ხდებოდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: ვურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხ[illegible] პუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge